140
1953/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

4
აპრილი
1953

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლენინ—სტალინის დროშით

მსოფლიოს ცაზე უქრობ
მშვიდობის შუქად მოჩანს
დიდი ლენინის დროშა,
დიდი სტალინის დროშა.

სამშობლომ გაიმარჯვა
მტერთან მრისხანე ომში
დიდი ლენინის დროშით,
დიდი სტალინის დროშით.

წითელი შუქის ფრქვევით
წინ გვიძღვის შრომის დროსაც
დიდი ლენინის დროშა,
დიდი სტალინის დროშა.

ლენინ—სტალინის დროშას
ნორჩებიც ლალად ვარხევთ.
ვფიცავთ ლენინის სახელს,
ვფიცავთ სტალინის სახელს.

რომ არასოდეს დავხრით
დროშას, არწივის ფრთიანს,
ლენინელები გვქვიან,
სტალინელები გვქვიან.

ვფიცავთ, ჩვენც ვასახელებთ
დიად საბჭოთა კავშირს,
უფროსებს სწავლით, გარჯით
ამოვუდგებით მხარში.

მსოფლიოს ცაზე უქრობ
მშვიდობის შუქად მოჩანს
დიდი ლენინის დროშა,
დიდი სტალინის დროშა.

მის ნათელ კალთებს ჰფიცავს
ყველა—დიდი თუ ნორჩი.
მალე კომუნიზმს ვნახავთ
ლენინ—სტალინის დროშით.

იოსებ ნონეშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიონერი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

№ 4
აპრილი, 1953 წ.
წელიწადი XXVII



ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი გორკაში. 1922 წ.

საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. კონონოვი

# სახალხო სიყვარული

როდესაც ვლაპარაკობთ ლენინზე, მაშინ ჩვენ ხალხზედაც ვლაპარაკობთ.

როდესაც ხალხზე ვლაპარაკობთ, ჩვენ ვფიქრობთ ლენინზე!

... პეტროგრადის მუშები დიდი ხანია ელოდნენ ლენინის დაბრუნებას სამშობლოში. ლენინს ელოდა პარტია, ელოდა სტალინი, რომელიც ახლახან დაბრუნდა გადასახლებიდან, პოლარულ წრესთან მდებარე ტურუხანის მხარიდან, სადაც მან ბევრი გაჭირვება და ხიფათი გამოიარა.

გადასახლებიდან მომავალმა სტალინმა ჯერ კიდევ გზიდან გაუგზავნა ლენინს მისასალმებელი დეპეშა.

ახლა კი დღე-დღეზე ლენინის დეპეშა უნდა მოსულიყო—ჩამოსვლის დღე უნდა ეცნობებინა.

აგერ ეს დიდი ხნის ნანატრი დღეც გათენდა!

იოსებ ბესარიონის-ძემ აღარ დაუცადა: ადგა და თვითონ გაემგზავრა ფინეთის საზღვარზე, ბელოოსტროვში, ვლადიმერ ილიჩის შესახვედრად.

ეს იყო 1917 წლის 3 აპრილს.

აღდგომის უქმეების გამო ყველა ქარხანა და ფაბრიკა დაკეტილი იყო, იმ დღეს არც გაზეთები გამოვიდა და არც ის მატარებელი მუშაობდა, რომლითაც მუშები გარეუბნიდან დედაქალაქში ჩამოდიოდნენ.

პეტროგრადში მაინც გაიგეს, რომ სტალინი ლენინის შესახვედრად გაემგზავრა.

ლ ე ნ ი ნ ი ჩ ა მ ო დ ი ს! როგორ შევატყობინოთ ხალხს?

აი, რა მოიფიქრა ორმა მკერავმა ქალმა, რომლებიც ნევის სადარაჯოსთან ცხოვრობდნენ. ისინი შევიდნენ იქვე ბოლშევიკების რაიონულ კომიტეტში, გამოართვეს იქ წითელი მატერიის ფართო ნაჭერი და ზედ ზეთის თეთრი საღებავით დააწერეს: „ლენინი ჩამოდის, წავიდეთ შესახვედრად!“

ახლა ეს წარწერა გრძელ ლარტყებზე ან ჯოხებზე უნდა დაემაგრებინათ, რომ შემდეგ პლაკატი მაღლა აეწიათ ხალხის დასანახავად.

ლარტყები დიდხანს არ უძებნიათ. იქვე, ქუჩაში პატარა ბიჭები გრძელი ჭოკებით მტრედებს აფრენდნენ. ო, რა ძვირფასი იყო ბავშვებისათვის ეს სწორი, მათივე ხაოიანი ხელისგულებით გაკრიალებული ჭოკები! ჭოკები კი-არა, მემტრედე ბიჭების ოცნება!

იქნებ ბავშვებმა ადრევე იცოდნენ, რომ ლენინი ჩამოდიოდა, ან იქნებ გულმა უთხრა მათ, რომ დღეს ისინიც ხალხთან ერთად უნდა ყოფილიყვნენ, — ასე იყო თუ ისე, წარწერა რომ წაიკითხეს, ხმა არ გაუღიათ—ჭოკები მაშინვე მუშა ქალებს ჩააბარეს.

მუშა ქალები ქუჩაში გამოვიდნენ და იმ ჭოკებზე გაკრული წარწერა მაღლა ასწიეს.

ისინი ფიქრობდნენ, რომ ეს ამბავი ყველას გაუკვირდებოდა. მაგრამ არავის არ გაჰკვირვებია: ყოველი მხრიდან მოდიოდა ხალხი, წაიკითხავდნენ: „ლენინი ჩამოდისო“,—მერე ერთმანეთს ეკითხებოდნენ: მატარებელს როდის ელიანო.

ხალხი ჯგუფ-ჯგუფად მიჰყვებოდა მუშა ქალებს. ერთი მოხუცი გაჯავრდა, რატომ არ აწერია, რომელ სადგურზე უნდა შევხვდეთო.

— განა რა ძნელი მისახვედრია! ფინეთის სადგურზე! – უპასუხა ვილაცამ.

მოხუცმა თავში ხელი შემოიკრა:

— ჩემი შვილები აქ ახლო არიან! მოვასწრებ იმათ მოყვანას?

— მოასწრებ. — უთხრა დინჯად მუშა ქალმა, რომელიც სახელდახელოდ გაკეთებულ პლაკატს გვერდზე მიჰყვებოდა.

ასე ჩაატარეს პლაკატი მთელს რაიონში, შემდეგ ქალაქის ცენტრისაკენ გაეშურნენ. ხალხი თანდათან მატულობდა. ნევის პროსპექტზე ლენინის ჩამოსვლის მაუწყებელ პლაკატს უკვე დიდძალი ხალხი მოჰყვებოდა. მსვლელობას ბოლო არ უჩანდა.

მიდიოდნენ მუშები, ჯარისკაცები, სტუდენტები, მიაბიჯებდა ის მოხუცი, რომელიც წეღან შვილების მოსაყვანად გაიქცა. მას ახლა მხარს უმშვენებდა ორი ჭაბუკი, ორივე ზორბა ტანისა, უთუოდ ესენი იყვნენ მისი ვაჟები. ის პატარა მემტრედე ბიჭებიც აქ იყვნენ.

ამ დროს ხალხში ვილაცამ დაიძახა:

— აბა ერთი ჩვენი საბრძოლო სიმღერა შემოვძახოთ!—და პირველმა წამოიწყო:

Смело, товарищи, в ногу...

ხალხმა ბანი მისცა. სიმღერას ფეხიააყოლეს და როგორღაც შეუმჩნევლად რიგში ოთხ-ოთხად მოეწყვნენ. ახლა უკვე ხალხის უზარმაზარი კოლონა მიდიოდა ლენინის შესახვედრად. ნევას რომ მიუახლოვდნენ, მათ დაინახეს, რომ ასეთივე კოლონები სხვა რაიონებიდანაც მოდიოდნენ. მოდიოდნენ სამხედრო ნაწილები გაშლილი დროშებით, ჩაიარა კრონშტადტის მეზღვაურთა რაზმმა, მერე ქვაფენილზე გრიალით ჩაიქროლეს ჯავშნიანმა ავტომანქანებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნევის ხიდთან კოლონას ლოდინი დასჭირდა, ხიდი განიერი იყო, მაგრამ ეს ზღვა ხალხი ერთბაშად მაინც ვერ გავიდა.

ფინეთის სადგურს რომ მიუახლოვდნენ, კოლონებს შუა თავისუფალი ადგილი უკვე აღარ დარჩა. ახლომახლო ქუჩები და მთელი სადგურის მოედანი ხალხით გაიჭედა.

ახლა ცხადი იყო: თუ დროებითი მთავრობა ლენინის დაპატიმრებას დააპირებდა (მას კი უნდოდა ამის გაკეთება) –ხალხი ამას არ დაანებებდა...

ბინდდებოდა. მუშებმა წინასწარ მომზადებული ჩირაღდნები აანთეს. ვაგზალთან პროჟექტორები აკაშკაშდნენ—და თითქოს ცისფერმა ხმლებმა დასერეს გახშირებული სიბნელე. წითელმა და ცისფერმა სინათლემ ყველაფერს გარშემო სადღესასწაულო და ცოტა შემაშფოთებელი იერიც მისცა.

ვაგზალთან ტევა აღარ იყო: ქალაქის ყველა რაიონიდან დაუსრულებლად მოდიოდნენ მუშების, მუშა ქალებისა და ჯარისკაცების ახალ-ახალი კოლონები.

შემდეგ მოისმა ძლიერი გუგუნი. ხალხი შეირხა და გზა დაუთმო ვაგზლისაკენ გრიალით მიმავალ ჯავშნიან ავტომანქანებს, რომელთა კოშკზე წითელი დროშები ფრიალებდნენ.

ხალხიც ერთობლივ მიჰყვა იმ ჯავშნიან ავტომანქანებს და უფრო მჭიდროდ შემოადგნენ ვაგზლის შენობას.

ზედ ვაგზალთან მწვანედ შეღებილი ჯავშნოსანი იდგა—ჯავშნოსნის საბრძოლო კოშკს პროჟექტორის ძლიერი შუქი ანათებდა.

ცოტა ხნის შემდეგ ბაქანზე მატარებელი ჩამოდგა და ვაგონიდან ლენინი გამოვიდა. ხალხი სიხარულმა შეიპყრო — მუშებმა, ჯარისკაცებმა და მეზღვაურებმა ვლადიმერ ილიჩი ხელში აიტაცეს და ვაგზლის დარბაზში შეიყვანეს. ლენინმა სწრაფად გაიარა დარბაზი და მოედანზე გავიდა.

მოედანს ნელი გუგუნი მოედო, მერე ერთბაშად ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ აბოლებული ჩირაღდნების ტკაცუნი ისმოდა.

მაღლა, ჯავშნოსნის კოშკზე,—რომ ყველას დაენახა,—იდგა ლენინი. რამდენიმე წუთი იგი ჩუმად იყო, ოდნავ წინ გადმოხრილი, თითქოს დროშებსა და პლაკატებზე წარწერილ სიტყვებს აკვირდებოდა. დროშები და პლაკატები ბევრი იყო, მაგრამ ჩირაღდნების შუქზე წარწერები ძნელად იკითხებოდა. აგერ პროჟექტორმა მიანათა სადღაც მოედნის ბოლოში აღმართულ წითელ მატერიის ნაჭერს – მკაფიოდ გამოჩნდნენ მსხვილად დაწერილი ასოები:



„ლენინი ჩამოდის. წავიდეთ შესახვედრად!“

ჭოკებზე დამაგრებული წარწერა წითელ თავსაფრიან ორ მუშა ქალს ეჭირა.

ლენინმა დაინახა ისინი.

ლენინმა დაინახა მის შესახვედრად მოსული ხალხი.

აღელვებულმა, ქუდი მოიხადა და მაღლა ასწია.

მერე სწრაფად ქუდი პალტოს ჯიბეში ჩაიდო, ხელი წინ გაიშვირა და დაიწყო თავისი სიტყვა, რომელიც იმ საღამოს არავის ჩაუწერია... და არც არავის დავიწყებია.

ყველამ გაიგონა სიტყვები, რომლებიც სამუდამოდ დარჩებიან ხალხის მეხსიერებაში, მთელი კაცობრიობის მეხსიერებაში:

— გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლუციას!

თარგმნა კონსტანტინე ლორთქიფანიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სტალინი

სტალინი!—ეს სახელი გარშემორტყმულია მთელი მსოფლიოს ხალხთა უსაზღვრო და დიდი სიყვარულით.

სტალინი! — ეს სიტყვა ჩვენ, შორეული ცურვის საბჭოთა მეზღვაურებს, გვესმოდა დედამიწის ყველა კუთხეში: ევროპაში, აზიაში, ამერიკაში, ატლანტიის, ინდოეთისა და წყნარი ოკეანის კუნძულებზე.

სტალინი! — ბელადისა და მასწავლებლის სახელს დედამიწის ყველა კუთხეში ხალხი ერთნაირი სიხარულით წარმოთქვამს. ისინი ყოველთვის მოგვმართავდნენ თხოვნით რათა ჩვენი ბელადისათვის გადაგვეცა მადლობა დაჩაგრული მშრომელი ხალხისადმი მშობლიური მზრუნველობისათვის.

მაგონდება დღე, როდესაც ჰავაის კუნძულებზე ნავსადგურ ჰონოლულუზე ჩვენ გადავწყვიტეთ წავსულიყავით ერთ-ერთ მახლობელ სოფელში და გვენახა, თუ როგორ ცხოვრობს ხალხი. სოფელში ჩვენი მისვლა მოსახლეობას ძალიან გაუხარდა. როდესაც უკან ვბრუნდებოდით, შეგვაჩერა ახალგაზრდა ჰავაიელმა ქალმა, რომელიც სწრაფად გატრიალდა და შევიდა ქოხში. ერთი წუთის შემდეგ ისევ დაბრუნდა. მას გულში რაღაცა ჰქონდა ჩაკრული. ეს იყო სტალინის სურათი. ახალგაზრდა ქალმა ბელადის სურათი გაბრწყინებული სახით აღმართა მაღლა და წარმოთქვა:

— სტალინი! ძვირფასია!

მე ისე მომეჩვენა, თითქოს ჩვენი ბელადის სურათი არასდროს მენახა ისეთი ლამაზი, როგორც იქ, კუნძულ ოახეს მთების ფერდობზე.

მაგონდება ტოკიო. გამოვედით ქალაქში და ზარდახტების* საყიდლად ბაზრისაკენ გავემართეთ. ზარდახტებს იქ აკეთებენ დიდი ოსტატობით. როდესაც იაპონელებმა გაიგეს, რომ ჩვენ საბჭოთა მეზღვაურები ვიყავით, გარს შემოგვერტყნენ და თითოეული მათგანი ცდილობდა ეჩვენებინა თავისი ზარდახტი, რომელშიაც ამოჭრილი იყო უძველესი ტაძრები და ძეგლები. ერთმა სავაჭროს პატრონმა აიღო დიდი ზარდახტი და გახსნა. განცვიფრებულები დავრჩით, როდესაც დავინახეთ ცისფერ აბრეშუმზე მოქარგული ბელადის სახე. ჩვენს გარშემო მყოფ იაპონელებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც სხვა მრავალ იაპონელთან ერთად ხელი მოაწერეს სამოცდაათმეტრიან აბრეშუმის ქსოვილზე და გაუგზავნეს ამხანაგ სტალინს მისი დაბადებიდან 70 წლის შესრულების გამო, იაპონელ ხალხის საბჭოთა ხალხთან მეგობრობის აღსანიშნავად.

აი ნავსადგური ჯიბუტი! ჩვენი გემი მისადგომიდან ორი კილომეტრის დაშორებით გაჩერდა. ასობით აბისინიელები მოცურდნენ ჩვენს გემთან. ისინი ეშვებოდნენ ზღვაში, ზღვის ფსკერიდან ამოჰქონდათ ფერადი ძვირფასი ქვები. მეგობრობის ნიშნად ისროდნენ გემბანზე და თან ყვიროდნენ: «სტალინ! სტალინ!»

ატლანტიის ოკეანეში მივუახლოვდით მადეირის კუნძულს და ნაპირიდან სამი კილომეტრის დაშორებით გავჩერდით. ეს იყო კვირა დღეს, გათენებისას. ჩვენი მოსვლის ამბავი ელვის სისწრაფით მოედო კუნძულის მოსახლეობას. 20 წუთის შემდეგ

* მოჩუქურთმებული ყუთები.

მისადგომები სავსე იყო ხალხით. ბევრი მოცურავდა ჩვენს გემთან, გემს ეხებოდნენ ხელით და კმაყოფილნი უკან ბრუნდებოდნენ. ამ მოქმედებით პორტუგალელი მშრომელები მეგობრულ სალამს აძლევდნენ საბჭოთა ხალხს. ისინი ყვიროდნენ: «ვივა რუს! ვივა სტალინ!»

კალკუტაში ჩვენს გემს გარს შემოერტყნენ ინდოელები. იმ დღესვე, რა დღესაც გემი ნაპირს მივაყენეთ, ინდოელთა ჯგუფიდან გამოვიდა ერთი ახალგაზრდა, მიუახლოვდა ჩვენს გემს, კედელს აკოცა და თქვა:

— აქ პურია, ბრძენმა ბელადმა სტალინმა გამოგვიგზავნა!

მთელი დედამიწის ზურგის პატიოსანი ადამიანები გლოვობენ ყველაზე საუკეთესო მეგობრის სტალინის გარდაცვალებას. მისი სახელი, მისი მოძღვრება — მსოფლიოს ყველა ხალხისთვის ჩაუქრობელი ლამპარია.

სადაც არ უნდა მოვხვდეთ ჩვენ, საბჭოთა მეზღვაურები, დიდი სტალინის დროშას ყოველ ზღვასა და ოკეანეში ამაყად ვატარებთ. უფრო მჭიდრო კავშირით დავირაზმებით კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მთავრობის გარშემო. უფრო მაღლა აღვმართავთ ჩვენი სამშობლოს დროშას, რათა შეუწყვეტლივ ვიაროთ წინ — ლენინისა და სტალინის მიერ ნაჩვენები გზით — კომუნიზმისაკენ.

დიდი სტალინი ჩვენს გულებში მუდამ ცოცხალი იქნება.

ვახტანგ ბარათაშვილი
შორეული ცურვის კაპიტანი

ნახ. კ. მახარაძისა

# ჩვენი ახალგაზრდა პოეტები

## სტალინგრადი

როცა იგონებ ხშირად სტალინგრადს,
კაცს სიამაყით გული გევსება,—
მტრის ხერხემალი აქ გადაიმსხვრა,
ფაშისტების მზე აქ ჩაესვენა.

რამდენს გაუძლო ტყვიების დელგმას,
ალაგმა, მოსპო ურჩთა მხედრობა;
მას სტალინგრადი იმიტომ ერქვა,
რომ სტალინურად მტერს დახვედროდა.

თუმცა აქ დუღდა მთელი ქვეყანა,
ქალაქი მტრის წინ არ იხრებოდა,—
ბრძოლაში ქედი რომ მოეხარა,
ის სტალინგრადიც არ იქნებოდა.

შოთა როყვა

## გაზაფხული

გადუხვევიათ ხეხილებს ხელი,
ბაღი უხვ ჩეროს გამოგიწოდებს,
აგერ ბავშვები მოდიან მღერით,
მდინარესავით მოდის სიცოცხლე.

პატარა ბავშვო, შენი სიმღერა,
როგორც მაისის ბაღი შრიალებს,
შენს წინ მომავლის კარი ილება,
გამარჯვებულმა მუდამ იარე...

შემოიბრუნა ნამი ბალახმა;
ჩემს თვალწინაა მშვენება სრული,—
მოაბიჯებენ გზაზე მხარდამხარ
პატარა ბავშვი და გაზაფხული.

თამაზ ჭილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგეი მიხალკოვი

ნახ. ა. ბანძელაძისა



# გატეხილი ვაზა



სამმა მოწაფემ — სამმა ცქრიალამ
მთელი ქალაქი შეაწრიალა;
მაღაზიებში ძებნეს, არჩიეს
და ბოლოს ერთგან აღმოაჩინეს
ვაზა, ლამაზი, როგორც ყვავილი
და გამჭვირვალე წყაროს წყალივით.
ასე კოხტა და ასე წერწეტი
მაღაზიაში ის იყო ერთი.

და შეიძინეს ბავშვებმა ვაზა.
ჯერ ვაზა ზინას მიჰქონდა ნაზად,
შემდეგ თამრიკომ ატარა, ვიდრე
ბაღის კიდესთან არ გამოვიდნენ.
მაგრამ როდესაც თამრიკოს თინა
ვაზასართმევდა, აქ უცებ, მარცხად...
ვაზა გაუსხლტა მას თითებიდან,
ვაზა ძვირფასი ძირს დაენარცხა...
გატყდა. ბროლის ხმა ცივად მოისმა...
უცებ დაბნელდა ზეცა კრიალა...
და ნამსხვრევები წმინდა ბროლისა
მზემ ქვაფენილზე აბრჭყვიალა...

დგანან ბავშვები... მძიმეა განცდა,
რომ დაჰყურებენ ძირს ჩაციებით.
სამ მოწაფესთან — სამ გოგონასთან
გაჩნდა გუშაგი მილიციელი.
— რა ამბავია?.. თქვით, რა გაწუხებთ!
— გა-გა... გაგვიტყდა... — ძლივს უპასუხეს.
სამი მოწაფე, სამი გოგონა
მოთქვამს კიროვის ბაღის კარებთან.
ვარდის ღაწვებზე ცრემლი მოგორავს,
მათ ირგვლივ ხალხი მოირკალება.
— რა ამბავია? თქვით, რა გაწუხებთ!..
— გა-გა... გაგვიტყდა...
ძლივს უპასუხეს.
— თქვით აქ რა მოხდა... რას უცქერიან?! —
გამვლელ მკითხველებს განა ვინ მოთვლის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორც ამბობენ, არაფერია...
მათ გატეხიათ აქ რაღაც ბოთლი...

— ბოთლი კი არა, ვაზა ბროლისა,—
სამი ბავშვის ხმა გმინვად მოისმა.
— უნდა გვეყიდა ჩვენ საჩუქარი,
ეს დაგვავალა მეხუთე კლასმა...
ჰოდა ვიყიდეთ ჩვენც საჩუქარი,
მასწავლებლისთვის რომ გვეთავაზნა...
ვიყიდეთ, მაგრამ... გა... გა... გავტეხეთ...
აღარც ფული გვაქვს და აღარც ვაზა...
— ჰე, რაც მომხდარა, გავიგეთ ახლა...—
დაიგუგუნა ერთბაშად ხალხმა.
— გატეხილ ვაზას რა ეშველება...—
თქვა და შოფერმა თავი დახარა.
— მართლაც ეს არის საშინელება!—
ჩუმად შენიშნა მუშამ ჭალარამ...
და მოკრივემაც, ბრგემ, ბუმბერაზმა,
როს დამსხვრეული იხილა ვაზა,
ცოდვით კინაღამ ცრემლი დაღვარა.

და უცებ ყველამ იქით გასწია,
სად უთვალავი ბროლი აწყვია.
უზარმაზარი ის მაღაზია
კიდითკიდემდე ხალხით სავსეა.
აქ ვის არ ნახავთ, მფრინავ მაიორს
თუ წარჩინებულ მემაღაროეს...
დახლს მისევიან ყველანი გუნდად
და ყოველ მათგანს ერთი რამ უნდა.
— აი, ის ბროლი, აქ მომიტანეთ...
— არა, ეგ არა...
— მე მინდა მწვანე...
— ერთი შეხედეთ, ამხანაგებო,
წითელი ვაზა რა წარმტაცია!
— ის თლილი ვაზა მომეცით, ჩემო...
იქ რომ დევს, მარცხნივ,
და ცოტა ქვემოთ...
— გთხოვთ შეამოწმოთ, ამხანაგებო!
ეს ხომ არ არის ძლიერ პაწია?
დახლთან შოფერი დგას ახოვანი,
მას ხიბლავს ვაზა წახნაგოვანი.
მფრინავს ცისფერი მოსწონს ძალიან
ლურჯ სივრცესავით გამჭვირვალეა.
— მე კი იმ ვაზას არ გავცვლი სხვაზე,
თავისებური აქვს სილამაზე,—
უთხრა მაიორს მოკრივემ რიდით
და გაიშვირა თაროსკენ თითი.

სამი მეხუთეკლასელი გოგო
მიჰქრის, მანქანას მიეჩქარება.
ბავშვებს აღონებთ და მერე როგორ
მანქანის რხევა და შექანება.
გზას შუქნიშანი აძლევს ციალით,
ფართო ქუჩაში ასფალტი ბრწყინავს.
აგერ, ნაცნობი მილიციელი
თავს უკრავს თინას, თამარს და ზინას.
რატომ ღელავენ ბავშვები ასე?
თრთიან... შიშისგან აღარ არიან...
ახლა მათ გვერდით, კაბინის სკამზე,
უძვირფასესი საჩუქარია.
— გთხოვთ, ამხანაგო ბიძია ვანო,
მანქანა ჩქარა არ წაიყვანოთ. —
უკაკუნებენ თითებით სარკმელს,
მაგრამ შოფერი, რომ გაიგონებს,
ბავშვებს ღიმილით შეესიტყვება:
— არა, ჩვენ ვაზა არ გაგვიტყდება,
ჩვენ სხვა წესი გვაქვს და ჩვეულება,
არა ისეთი, როგორც გოგონებს.

მასწავლებელ ქალს, თავდაბალს მუდამ,
სამოცი წელი რომ შეუსრულდა,
წმიდა შრომისთვის დღეს ჯილდო ელის,
უმწიკვლო გრძნობის გამომსახველი...
ზარმა ჰაერში გაიწკრიალა,
სამმა გოგონამ, სამმა ცქრიალამ,
უძვირფასესი ეს საჩუქარი
მიართვა, მაგრამ ვისი სახელით?
ვისი და მთელი საბჭოთა ხალხის,
ქალის თუ კაცის, დიდის თუ ბალღის,
ფეხით მავალის, ცაში მფრინავის,
ყველა საბჭოთა ადამიანის...
უბრალო ჯილდო ნუ გეგონებათ:
ჩვენმა ვაჟებმა და გოგონებმა,
ჩვენმა ქვეყანამ, სულ რომ მტკიცდება,
მით გამოხატა პატივისცემა.

გადმოაქართულა დავით გაჩეჩილაძემ



ეროვნული ბიბლიოთეკა



მიხეილ მრევლიშვილი

ნახ. კ. მახარაძისა

# ახალი მეგობარი

— მამიდა მართა, პირობას არღვევ, აი! მესამე ნაჭერს ვეღარ შევჭამ! — მტკიცედ განაცხადა სანდრომ, როცა დაინახა, რომ კეთილი სახის მოხუცი ქალი კარგა მოზრდილ პურის ყუაზე კარაქს სქლად უსვამდა და ზედ ყველის ნაჭერს გულმოდგინედ აკოწიწებდა.

— როგორ იქნება, შვილო, შენ ახლა ვაჟკაცი ხარ, ორი ნაჭერი რას გეყოფა! — წამაქეზებელი კილოთი მიუგო მამიდამ და სანდროს თეფშს გადასწვდა.

— არ შემიძლია, მამიდა, არა! — მუდარით გაიმეორა თორმეტიოდე წლის ბიჭუნამ, ცარიელ თეფშს ორივე ხელი დააფარა და ოთახში უმწეოდ მიმოიხედა; მერე ერთბაშად რაღაც მოიფიქრა, ფეხზე წამოიჭრა, თვალები დააჭყიტა და შეშინებული ხმით შეჰყვირა.

— დუღს, მამიდა, დუღს!

დაფეთებული მამიდა მართა ოთახის კუთხეში ელექტროქურაზე შედგმულ ქვაბს მივარდა.

სანდრომ დრო იხელთა, ჩანთას და ქუდს ხელი დასტაცა და ღია კარებში გაძვრა.

მამიდა მართამ სათვალეები მოიმარჯვა, რძით სავსე ქვაბს თვალი შეავლო და, როცა დარწმუნდა, რომ რძე ჯერ ადუღების აინუნშიაც არ იყო, გულმოსული ძმისწულს მიუბრუნდა, მაგრამ სახტად დარჩენილ ქალს სკამი და თეფშზე მოკალათებული ვეება პურის ყუაღა შერჩა ხელთ.

— ერთი უყურეთ... მომატყუა იმ საძაგელმა! — ალერსიანი წყრომით ჩაილაპარაკა მანდილოსანმა და უცბად თავისი მიამიტობით გაჯავრებულმა ღია ფანჯარას მიაშურა.

გვიანღა იყო. მამიდა მართამ თვალიც კი ვეღარ შეავლო მოსახვევის კუთხეში მიმალულ ონავარ ძმისწულს.

* * *

მხიარულად მიკუნტრუშობდა სანდრო ახმიანებულ ქუჩაში. თბილი და საამო შემოდგომის დილა იდგა. ოქტომბრის მზე ალერსიანად დანათოდა ქალაქს. ჯერ კიდევ ადრე იყო, მაგრამ სანდრო მაინც მიიჩქაროდა სკოლისაკენ. პირველი გაკვეთილი მისი საყვარელი გეოგრაფია იყო და გაკვეთილის დაწყებამდე უნდოდა პიონერთა რაზმის საბჭოს თავმჯდომარესთან ერთად მოლაპარაკებოდა ქეთო მასწავლებელს ხვალინდელი ექსკურსიის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალიან უყვარდათ პატარა ვაჟკაცებს გეოგრაფიის გაკვეთილი. სულგანაბულნი უსმენდნენ ყმაწვილები ქეთო მასწავლებლის წყნარსა და აუჩქარებელ ბაასს. ყველას ერთი რამ აკვირვებდა: საიდან იცოდა ამდენი საინტერესო და განსაცვიფრებელი ამბავი. საიდან იცოდა მაგალითად ქეთო მასწავლებელმა, რომ ყველაზე ჭრელი და ლამაზი ზებრები აღმოსავლეთ აფრიკაში ცხოვრობენ, რომ თევზისმაგვარი ზღვის ცხოველი, ვეება ვეშაპი საკუთარი რძით კვებავს შვილებს, რომ დანა ათასეული წლებით უფრო ხნიერია თავის გულითად მეგობარ ჩანგალზე, რომელიც სულ სამასიოდე წლისაა მხოლოდ.

„რასაკვირველია წიგნებიდან! — დაბეჯითებით ადასტურებდნენ ისინი და თან უყოყმანოდ დასძენდნენ —წიგნებიდან, მაგრამ ამას ყველაფერს ხომ დამახსოვრება უნდა და მერე ასე წარმტაცად მოყოლა!“

მართლაც საკმარისი იყო ქეთო მასწავლებლის გაკვეთილზე ყურთასმენად ქცეულიყო კაცი, რომ მის თვალწინ გადაშლილიყო თვალუწვდენი ველები და უნაპირო ტრამალები, ყინულოვანი კლდეები და ქაფადქცეული ჩანჩქერები.

ხშირად გაკვეთილის დასასრულის მაუწყებელი მხიარული ზარის წკრიალიც კი უყურადღებოდ რჩებოდათ სმენადქცეულ ბავშვებს. და როცა მასწავლებლის დასკვნითი სიტყვები და საკლასო ჟურნალის დასახურად გაწვდილი ხელი ამცნობდა მათ გაკვეთილის დასასრულს, მაშინღა წამოცვივდებოდნენ მერხებიდან, სალტედ შემოერტყმოდნენ საყვარელ მასწავლებელს და სულ შეკითხვებით მიაცილებდნენ სამასწავლებლო ოთახამდე.

— მასწავლებელო, კიდევ გვიამბობთ ვოლგადონზე?—ეკითხებოდნენ ერთნი.

— არა, მასწავლებელო, მოსკოვის მეტროზე! თქვენ ხომ დაგვპირდით? მოსკოვის მეტროზე! — ემუდარებოდნენ სხვები.

განსაკუთრებით საინტერესო იყო ქეთო მასწავლებლის მიერ მოწყობილი ექსკურსიები. თითქმის არ დარჩენილა არც ერთი მთა და არც ერთი ხევი ქალაქის მახლობლად, რომ არ დაეთვალიერებინათ ნორჩ ტურისტებს.

თუ კვირა დღე მზიანი და თბილი გამოვიდოდა, ზურგჩანთამოკიდებული ბავშვები სკოლის დიდ ეზოში დილაადრიან იკრიბებოდნენ და საყვარელ მასწავლებელს უცდიდნენ.

სანდროს ძალიან უყვარდა ასეთი ექსკურსიები და დღესაც იმისათვის მიიჩქაროდა სკოლაში, რომ ხვალინდელი ლაშქრობისათვის მომზადებულიყო.

ხუმრობა ხომ არ იყო, პიონერხელმძღვანელი მუდამ სანდროს ნიშნავდა თავის თანაშემწედ ასეთი ლაშქრობის დროს. სანდროც ამართლებდა ქეთო მასწავლებლისა და პიონერხელმძღვანელის ნდობას. ამას წინათ, სანდროს თაოსნობით, ექსკურსიამ მშვენიერი კუ შესძინა სკოლის ზოოლოგიურ კაბინეტს, ხოლო სანდროს მეთაურობით შეგროვილმა კაჟების ნიმუშებმა თვალსაჩინოდ გაამდიდრეს სკოლის კოლექციები.

* * *

სკოლის ალაყაფის კარებთან მისული სანდრო უცბად შეჩერდა. მისი ყურადღება ქუჩის პირას შეგროვილმა ხალხმა მიიპყრო. ის უმალვე მიიჭრა ჯგუფთან და ხესთან ატუზულ უცნობ მოზარდს ცნობისმოყვარეობით ჰკითხა:

— რა იყო ნეტა, რა მოხდა აქ?

— აი!—მოკლედ უპასუხა მოზარდმა სანდროს და გაზონის პირას მიგდებულ პატარა ლეკვზე მიუთითა.

სანდრომ დახედა ლეკვს და გული სიბრალულით აევსო. მუშტისოდენა უმწეო არსება ძლივს დაღოღავდა მიწაზე და მთელი ტანით თრთოდა.

ხალხი ქუჩაში მიდი-მოდიოდა, წუთით ჩერდებოდა ცნობისმოყვარეთა ჯგუფთან და კვლავ საქმიანი და აჩქარებული ნაბიჯით განაგრძობდა გზას.

— ორი კვირისა თუ იქნება, რა საბრალოა!— ჩაილაპარაკა ვიღაც მოქალაქემ.

—რა ლამაზია!—აღტაცებით წამოიძახა ბაზრიდან მომავალმა, სანოვაგით დატვირთულმა მანდილოსანმა.

— კარგი ჯიშისა უნდა იყოს!—დაუდასტურეს მანდილოსანს.

— ჯიშიანი რომ ყოფილიყო, ასე იოლად არ დათმობდნენ!—ჩაურთო გრძელულვაშიანმა კაცმა და ლეკვს დააცქერდა.

ლეკვი წკმუტუნებდა, უმწეოდ დაღოღავდა და წამდაუწუმ ცხვირით მიწაში ეფლობოდა.

ბუჩქსმიყრდნობილი სანდრო თავისთავს ებრძოდა. კარგახანია უნდოდა მას საკუთარი ხელით გამოზრდილი, ასეთი პატარა მეგობარი ჰყოლოდა. რა საინტერესო და საგმირო საქმეებს არ ჩაიდენდნენ ორივენი მოგზაურობისა და ლაშქრობის დროს, როგორ გაახარებდნენ ქეთო მასწავლებელს, ასახელებდნენ სკოლას. მაგრამ ერთი რამ აბრკოლებდა პატარა ვაჟკაცს. როგორ წაეყვანა ლეკვი, მას ხომ უფლება არა ჰქონდა მიესაკუთრებინა ის. პატრონი კი არსადა ჩანდა. ბოლოს სურვილმა დასძლია.

— შეიძლება, ძია, რომ ეს ლეკვი მე წავიყვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნო?—ზრდილობიანად ჰკითხა სანდრომ ულვაშებიან მოქალაქეს.

უცნობმა ახედ-დახედა პატარა ბიჭს და ღიმილით უთხრა:

— რატომაც არა, უპატრონოა, როგორცა ჩანს!

ამ სიტყვების გაგონებაზე, გახარებულმა სანდრომ ხელი დასტაცა ლეკვს, ჩაისვა ჩანთაში და სკოლისკენ მოქუსლა.

* * *

მეორე ზარი უკვე დარეკილი იყო, როცა გაოფლიანებული სანდრო კლასში შევიდა და მერხს მიაშურა. მან ვერცკი მოასწრო თავისი საგანძურის მერხის უჯრაში მოკალათება, რომ მასწავლებელი შემოვიდა და გაკვეთილი დაიწყო.

დიდსა და ნათელ საკლასო დარბაზში ჩვეულებრივი სიჩუმე ჩამოვარდა. ქეთო მასწავლებელმა ალერსიანად გაუღიმა ფეხზე წამომდგარ პატარა მეგობრებს, საკლასო ჟურნალი გაშალა, მოწაფეთა გვარები ამოიკითხა და, როცა დარწმუნდა, რომ ყველანი იყვნენ, გაკვეთილის ახსნას შეუდგა.

— მაშ ასე, ბავშვებო, ჩვენ დღეს ზღვის ტალღების მუშაობაზე ვიბაასებთ. ვისაც ზღვა უნახავს, მას უთუოდ მოაგონდება თუ რა მძვინვარეა აღელვებული ზღვა. როგორ იოლად და სწრაფად მიაქანებს ის ნაპირისაკენ უზარმაზარ ტალღებს, როგორი გაафთრებით ეხეთქებიან ეს ტალღები კლდოვან ნაპირებს და შემდეგ სიპ ლოდებზე დამსხვრეულნი და ქაფად ქცეულნი გულგატეხილი შრიალით მიექანებიან უკან. გაჯავრებული ზღვა კი სულ ახალ-ახალ რაზმებს გზავნის უტეხ ნაპირთან საბრძოლველად. ის გულჩახვეული ღრიალებს და გოროზად ემუქრება მის წინ ამოწვდილი უზარმაზარი სალი კლდის კედლებს. ხშირად ეს შეუპოვარი და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა კლდის დამარცხებით მთავრდება. ტალღებისაგან ძირგამოთხრილი გოლიათი, ლოდებად დამტვრეული, ზათქით ეშვება ზღვაში და ტალღების გამარჯვებულ ქოთქოთში იძირება...

ხმაგაკმენდილნი უსმენდნენ მოწაფეები მასწავლებელს. დარბაზში ისეთი სიჩუმე იდგა, რომ ბუზის გაფრენის ხმასაც კი გაიგონებდა კაცი. უცბად, ეს სიჩუმე რაღაც უცნაურმა, მაგრამ სრულიად მკაფიო წკავწკავმა დაარღვია. განცვიფრებული ბავშვები შეცბუნდნენ. ქეთო მასწავლებელს უსიამოვნო ელფერმა გადაჰკრა სახეზე. გაფითრებულმა სანდრომ ქურდულად მოავლო თვალი საკლასო დარბაზს. თავისი დაბნეული გამოხედვა, რატომღაც პიონერთა რაზმის თავმჯდომარეს ვაჟა ნემსიწვერიძეს მიაპყრო. ვაჟამ უნდოთ გადაიქნია თავი და თვალი აარიდა სანდროს.

მასწავლებელმა გაკვეთილის ახსნა განაგრძო. დარბაზში კვლავ სიწყნარე გამეფდა.

— მაშასადამე ზღვის ტალღების ბრძოლას ნაპირთან მუდმივი და შეუპოვარი ხასიათი აქვს.—გაისმა ქეთო მასწავლებლის დინჯი და მკაფიო ხმა, მაგრამ ამ ხმას კვლავ შესაბრალისი წკმუტუნი და წკავწკავი მოჰყვა.

კლასში ბავშვების თავშეკავებული სიცილი დაირხა. ქეთო მასწავლებელმა შუბლი შეიკრა და სახეალანძულმა მიმართა მოსწავლეებს:

— ასე სასტიკად ვინა ცელქობს? გათავდა ჩვენი მეგობრობა?!—მტკიცე ხმით იკითხა მან და კლასს თვალი გადაავლო. მოსწავლეები მიყუჩდნენ.

დარცხვენილი სანდრო ფეხზე წამოდგა.

— მასწავლებელო... პატივცემულო მას...—ჩუმად წაილუღლუღა მან და უცბად გაშრა. სიტყვა გაუწყდა. შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა. დარბაზში ისევ ლეკვის გულშემზარავი წკმუტუნი გაისმა. ახლა ეს წკმუტუნი ბავშვების გულიანმა სიცილმა დაჰფარა.

— მებუკე შენ? არ მოველოდი, სწორედ!—გაკვირვებულმა ჩაილაპარაკა ქეთო მასწავლებელმა და განცვიფრებული მიუახლოვდა სანდროს. ახედ-დახედა დამნაშავეს. თვალი გადაავლო მერხს.

მერხის ყუთში რაღაც ფაჩუნობდა. წკმუტუნიც იქიდან ისმოდა.

— ვაჟა, ნახე, რა არის აქ?—მიმართა მასწავლებელმა რაზმის თავმჯდომარეს.

ადგილიდან წამომდგარი ნემსიწვერიძე მიუახლოვდა სანდროს, დასწვდა მის მერხს და მერხის ყუთიდან ჩანთა გამოიღო.

წიგნებიდან განთავისუფლებულ ჩანთაში პატარა ლეკვს მოეკალათნა და საბრალოდ თრთოდა.

ლეკვის დანახვაზე კლასში ჟრიამულმა იმატა. ბავშვები სანდროს მერხს მიაწყდნენ. ყველას უნდოდა ლეკვის დანახვა. გაოგნებული სანდრო ნემსიწვერიძეს მისწვდა და ჩანთა ხელიდან გამოჰგლიჯა.

— შენი საქმე არ არის,—გაბრაზებით ჩაილაპარაკა მან.

— დატოვე კლასი!—მოკლედ უბრძანა ამგვარ ამბებს უჩვევმა ქეთო მასწავლებელმა სანდროს.

სანდრო შეირხა, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ეტყობა ვერ გაბედა, შეეშინდა თვალზე მომდგარი ცრემლებისა. ჩანთა დახურა. უნდოთ გადახედა კლასს და უხმოდ გავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

გრძელ დერეფანში არავინ ჩანდა. სანდრო ფანჯარას მიეყრდნო და ფიქრს მიეცა.

დღეს ყველაფერი უცნაურად შეტრიალდა. აბა, საიდან იფიქრებდა, რომ ლეკვი წკმუტუნს გაკვეთილის დროს ატეხავდა. სწორედ გითხრათ, ამაზე არც კი უფიქრია. თითქოს განგებ გამოუვიდა ყველაფერი. საყვარელი მასწავლებელი გააჯავრა, ამხანაგებიც აიმხედრა. ორიოდ სიტყვა მაინც ეთქვა, აეხსნა მაინც, რა და როგორ. თან ლეკვის დარდი აწუხებდა.

— ჩქარა ზარი დაირეკება, დირექტორთან დამიძახებენ, ლეკვს წამართმევენ! — ფიქრობდა სანდრო და ნაღვლიანად გაჰყურებდა ეზოში უდარდელად მოსეირნე დარაჯს.

საჭირო იყო როგორმე ლეკვის გადამალვა. საჭირო იყო მისი თავიდან მოშორება დროებით მაინც. ახლა სანდრო ამაზე ფიქრობდა. გაკვეთილის დამთავრებამდე შინ მირბენას ვერ მოასწრებდა, ეზოში ვერსად დამალავდა მტირალა ლეკვს. მისი წკმუტუნი სკოლის დარაჯის, ან მეეზოვის ყურადღებას მიიპყრობდა აუცილებლად.

— სხვენში, სკოლის შენობის სხვენში! — უცბად მოიფიქრა სანდრომ და ამ აღმოჩენით გახარებულმა ჩანთას დაავლო ხელი.

გზა სხვენისაკენ უკანა კიბით მიდიოდა. საჭირო იყო ეზოში ჩასვლა და სხვენის კიბის კარებამდე ისე მირბენა, რომ დარაჯს თვალი არ მოეკრა.

ფეხაკრეფით გაიარა სანდრომ გრძელი დერეფანი და ეზოში უვნებლად ჩავიდა. აქ, შენობის კუთხეს ამოფარებული კარგა ხანს უთვალთვალებდა იქვე მახლობლად მოსეირნე სარდიონ დარაჯს.

ამ უქმ დგომასა და ლოდინში კარგა დრომ განვლო. როგორცა ჩანდა სარდიონი წასვლას არსადაც არ ფიქრობდა. ის არხეინად დადიოდა სანდროს გულის გასაწყალებლად და ხან შენობას გაჰყურებდა, ხან სუფთად დაგვილ სკოლის ეზოს.

კარგა ხნის შემდეგ, როგორც იყო, ეზოს კარების გასაღებად დაუძახეს სარდიონს. სანდრომ დრო იხელთა, მარდად გამოძვრა საფარიდან, შურდულივით გადაურბინა ეზოსა და სხვენის კიბის კარებში შევარდა. მერე ერთხელ იქიდანაც გამოიხედა, შეამოწმა ხომ არავინ მითვალთვალებსო და როცა გული დაიმშვიდა, სირბილით აჰყვა საფეხურებს.

სხვენში არც თუ ისე ბნელოდა. შენობის სახურავზე გასასვლელი ფანჯრისმაგვარი ხვრელებიდან შუქი შემოდიოდა და მართალია მკრთა-



დარცხვენილი სანდრო ფეხზე წამოდგა.

ლად, მაგრამ მაინც საკმაოდ ანათებდა დიდი შენობის სხვენს.

ეს სხვენი სანდროს წარმოდგენით კეთილმოწყობილ გემსა ჰგავდა, თავისი ანძებით, შიგ გაყვანილი დიდრონი მილებით, დიდი და ფართო საკვამურით და, რაც ყველაზე მთავარია, ერთ ადგილას სქელი მინებით გადახურული შუშაბანდით, რომელიც სკოლის შემოსასვლელს დღის შუქს აწვდიდა და რომელიც, ამავე დროს, ასე მშვენივრად წააგავდა კაპიტან ნემოს წყალქვეშა ნავს.

რას არ ნახავდით ამ გემბანზე. სილით დატენილ დიდრონ კასრებს, წითლად შეღებილ თუნუქის ვედროებს, ნიჩბებს და წერაქვებს. ყველაფერ ამას თავისი პირდაპირი დანიშნულების გარდა, სანდროს წარმოდგენით, სულ სხვა გამოსახულება ჰქონდა. წერაქვი, მაგალითად, გემის ღუზას მოგვაგონებდა, სილით სავსე დიდი კასრები — გემბანზე ჩამწკრივებულ სათადარიგო ნავებს. სათბობი სისტემის სამუხრუჭე მოწყობილობა კი ამ საარაკო გემის საჭეს.

მაგრამ სანდროს ახლა ამისათვის არ ეცალა. საჭირო იყო საბრალო ლეკვის სანდო ადგილას დაუყოვნებლივ მოთავსება, თორემ საცაა გაკვეთილი გათავდებოდა და სანდროსაც უსათუოდ მოიკითხავდნენ.

სანდრომ ჩქარა აღმოაჩინა ეს ადგილიც. ერთ-ერთ კასრში სილა მხოლოდ ფსკერზე ეყარა. სანდრომაც აღარ დააყოვნა, ლეკვი ამ კასრში მოა-

თავსა, კასრს ზევიდან ძველი ქილოფი გადახურა, ისე, რომ ვეება კასრის პატარა მდგმურს ჰაერი სულ მთლად არ დახშოდა.

როცა ეს საქმე მოათავა, გამოეთხოვა ახლადშეძენილ მეგობარს და ფეხაკრეფით ჩამოჰყვა კიბეს.

ქვევით ჩამოსულმა ფრთხილად გახედა სკოლის ეზოს. სარდიონი არსად ჩანდა, თავისუფლად ამოისუნთქა, მაგრამ დახეთ უბედურებას! საფარიდან გადმოსულმა ერთი ნაბიჯიც ვერ გადადგა, რომ უეცრად, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, წინ სარდიონი აეტუზა.

— აქ რა გინდოდა, ონავარო?—მკაცრად ჰკითხა სარდიონმა.

სარდიონის დანახვაზე სანდრომ წარბი არ შეიხარა.

— თქვენ გეძებდით, ძია სარდიონ! — ზრდილობიანად მიუგო მან.

როგორც ეტყობა სარდიონს მოეწონა ზრდილობიანი პასუხი და თვითონაც კილოს დაუწია.

— რაო, რა გინდა, რა საქმე გაქვს?

— ძია სარდიონ, რჩევასა გთხოვ!

სარდიონმა ახედ-დახედა ონავარს და ულვაშებში ჩაეცინა.

— აგრეა შვილო, გაჭირვებისას მოგაგონდებათ სარდიონი! რაო, რა რჩევას?—თავმომწონედ წარმოთქვა მან.

— თუ შეიძლება, ძია სარდიონ, ათი დღის ლეკვს ძროხის რძე მივცე? — იკითხა სანდრომ გულუბრყვილოდ.

ამ შეკითხვამ სარდიონი ჩააფიქრა.

— ყური დამიგდე,—ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ დაიწყო მან და იქვე კიბის საფეხურზე მოიკალათა, — ძუძუმწოვარას, ლეკვი იქნება ეს თუ ბალღი, დედის რძე უჯობს, ეს ცხადია...

— მაგრამ თუ ლეკვს დედა არა ჰყავს?—გააწყვეტინა სანდრომ დარაჯს და ეშმაკურად გაუღიმა.

— რა გაეწყობა, თუ არა ჰყავს, მაშინ ძროხის რძეც შეიძლება, მხოლოდ ცხელი არ მოგივიდეს, დაგელუპება.—ურჩია სანდროს სარდიონმა.

— ეგ არ ვიცოდი, გმადლობთ, ძია!— ნაძალადევი სიხარულით წამოიძახა ონავარმა და რადგანაც სწორედ ამ დროს ეზოს სიწყნარე ზარის წკრიალმა შეარხია, დაემშვიდობა სარდიონს და სკოლის კარებს მიაშურა.

* * *

მხოლოდ გაკვეთილების შემდეგ შეიკრიბნენ მოწაფეები პიონერთა ოთახში. დღის წესრიგში ორი საკითხი იდგა.—სანდრო მებუკეს უმგვანო საქციელზე უნდა ემსჯელნათ რაზმის საბჭოში და ხვალინდელი მოგზაურობის გეგმას უნდა გასცნობოდნენ ექსკურსიის მონაწილენი.

ოთახში ოციოდე მოწაფემ მოიყარა თავი.

სანდრო მთელი დღის განმავლობაში გულჩათხრობილი და ჩაფიქრებული დადიოდა. მეგობრებს გაურბოდა. შეკითხვებზე უგემურად პასუხობდა. მართალია, წინათგრძნობა არ გაუმართლდა, დირექტორმა არ დაუძახა, მაგრამ სამაგიეროდ კლასის დამრიგებელმა დატუქსა ის და პიონერხელმძღვანელს თხოვა, ჯეროვნად შეეფასებინათ პიონერორგანიზაციაში სანდროს საქციელი.

პიონერხელმძღვანელთან წინასწარი ბაასის დროს სანდრომ აღიარა თავისი შეცდომა, იმაზე არა უთხრა რა ხელმძღვანელს თუ როგორ ჩაუვარდა ხელთ პატარა ლეკვი და სად იყო ახლა მისი ადგილსამყოფელი.

— მე ლეკვი განგებ არ მომიყვანია სკოლაში.—გულწრფელად განაცხადა სანდრომ და ამით გაათავა პიონერხელმძღვანელთან ბაასი.

— ჯიუტობსო, დაასკვნა პიონერხელმძღვანელმა ბაასის შემდეგ და რაზმის საბჭოს თავისი მოსაზრება გაუზიარა.

სანდრომ კი გულში მტკიცედ გადაწყვიტა, საიდუმლოდ შეენახა ლეკვის არსებობის ამბავი — შინ წაეყვანა ის, გამოეზარდნა კეთილ მეგობრად და ერთ მშვენიერ დღეს, რომელიმე მომავალი საექსკურსიო შეკრების დროს, მასთან ერთად წამდგარიყო რაზმის წინაშე.

„უჰ, რა მოულოდნელი და მშვენიერი საჩუქარი იქნება ჩვენი რაზმისათვის! — აღტაცებით გაიფიქრა მან, მაგრამ ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ აზრი შესცვალა.—არა, მე იმას ქეთო მასწავლებელს ვაჩუქებ. ქეთო მასწავლებელს ხომ ძალიან უყვარს ცხოველები, ჭრელი პეპლები და ნაირფერადი ყვავილები!“ — საბოლოოდ გადაწყვიტა სანდრომ.

რაზმის საბჭოს სხდომაზე სასტიკად გაჰკიცხეს მეგობრებმა სანდრო. ვაჟა ნემსიწვერიძემ წინადადებაც კი შეიტანა ამოეშალათ სანდრო ხვალინდელი ექსკურსიის მონაწილეთა სიიდან.

ეს უკვე მეტისმეტი იყო. გაფითრებული სანდრო ფეხზე წამოიჭრა.

— ძალიან კარგი!—წარმოთქვა თვალცრემლიანმა სანდრომ.— ამომშალეთ... დამნაშავე ვარ, ეს მე ვიცი... მაგრამ იცოდეთ... ვნახოთ ბოლოს...

ნაწყვეტ-ნაწყვეტ წამოიძახა მან და დასტოვა განცვიფრებული მეგობრები.

* * *

უფროს კლასებში მეექვსე გაკვეთილი დაიწყო. დეიდა ელენე სკოლის სასაუზმის მილაგებასა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქურქლის რეცხვას შეუდგა. ამ დროს ოთახში აფორიაქებული სანდრო შემოვარდა.

— მოგისწარი, დეიდა ელენე? — იკითხა სანდრომ.

— რა იყო შვილო, ეგ ცრემლები შენს თვალებზე რის მაქნისია?—ალერსიანად ჰკითხა სანდროს მზარეულმა ქალმა და მერე იმავე კილოთი დასძინა:

— რას მიირთმევ, რა მოგიმზადო?

სანდრომ ლოყებზე შერჩენილი ცრემლის ნაკვალევი ხალათის სახელოთი მოიწმინდა და თან ნაძალადევი ღიმილით წარმოთქვა:

— დეიდა ელენე, ერთი ფინჯანი რძე მომეცი პატარა ბოთლით და აი, ეგ მათლაფის ნატეხი!

— სადღა მიგაქვს, აქ დაგელია!—ურჩია ელენემ ბიჭს.

— ჩემთვის არ მინდა!—მორცხვად ჩაილაპარაკა სანდრომ. დეიდა ელენეს პატარა ბოთლში ჩასხმული რძე და თეფშის ნატეხი გამოართვა, უბეში ჩაიდო, გამოეთხოვა მზარეულ ქალს და კარებში გაუჩინარდა.

ამჯერად სანდრომ მშვიდობიანად მიაღწია თავის „გემბანს". შიმშილისაგან გადალასლასებული ლეკვი კასრიდან ამოიყვანა. მიუალერსა. მოეფერა.

— შიმშილით მოკვდი, შე საწყალო? — ჰკითხა პატარა ლეკვს. მერე ჩამოჯდა იქვე კასრთან, კიდეჩამოტეხილ მათლაფაში რძე ჩაუსხა, ისე კი, რომ არ დაღვრილიყო. ლეკვს რძეში ტუჩი ატუცვინა, რადგან სულელმა ჯერჯერობით თეფშიდან ჭამა არ იცოდა და, როცა ლეკვმა მადიანად სვლეპა დაუწყო გემრიელ რძეს, გვერდით მიუჯდა მეგობარს და ალერსიან ბაასს მოჰყვა.

— ჭამე საცოდავო, ჭამე, ნუ თრთიხარ, თორემ იცოდე, თრთოლიას დაგარქმევ.

ლეკვმა მოსვლიპა პირველი მათლაფა და საცოდავად მოჰყვა წკმუტუნს.

— ღორი ყოფილხარ ჩემო კარგო, ღორმუცელა!—ალერსიანად თქვა სანდრომ და კიდევ დაუსხა თრთოლიას რძე.

— ასეთი მადით მამიდა მართას გაახარებ, სხვას ვერავის,— განაგრძო სანდრომ ნაღვლიანად.— შენ არ იცნობ მამიდა მართას, ფიქრი ნუ გაქვს, ჩქარა გაიცნობ! ნახე, როგორ შეგიყვარდება! მართალია ცოტა ბუზღუნი იცის ხოლმე, მაგრამ რა ვუყოთ, გული ძალიან კეთილი აქვს. შენი დანახვა იქნება არც კი ესიამოვნოს, არ შეგეშინდეს. ეს მანამ, ვიდრე შეგეჩევა. დიდებს ხომ მეტად უცნაური ჩვევები აქვთ. ამას წინათ კედლის საათის ამუშავება გადავწყვიტე, არ მუშაობდა წლიდან წლამდე, ისე ეკიდა, უმოქმედოდ, ჩემი გულის გა-



სასიებლად. მამიდა მართამ ერთი ამბავი დამაწია, მაინც მოვასწარ ორი ხრახნილის გამოღება, მშვენიერი ბზრიალები გამოვიდა.

თრთოლიამ კიდევ მოათავა თავისი ულუფა, სანდრომ ნარჩენიც დაუსხა და სხვენს გახედა. შეამოწმა, ხომ არავინ გვითვალთვალებსო.

სიჩუმე იდგა ირგვლივ. სხვენის ფანჯრებში შემოპარული ოქტომბრის მზე უალერსებდა პატარა მეგობრებს.

ღორმუცელამ მესამე მათლაფაც გაათავა. სავსე ტიკივით გაიბერა. ძლივს მიბაჯბაჯდა სანდროსთან და გვერდით მოუწვა მას.

— აი, ეგრე, მცივანა თრთოლიავ, გაიბერე? ვეღარ სუნთქავ? დაისვენე, ცოტა გათბი. ახლა ჩქარა შინისკენ გავწევთ ორივენი. არ დაგავიწყდეს, რაც გითხარი, მამიდა მართას დაუჯერე. ერთი სკივრი აქვს სანაქებო, ძველი ქისებით და რაღაცა შალის ნაკუწებით ამოვსებული. ვფიქრობ დღემდე და ვერ მივმხვდარვარ, რა ყრია ნეტავი იმ ნაგავში. ერთი სიტყვით იმ სკივრს ახლო არ გაეკარო.

სხვენში ყრუდ გაისმა ზარის წკრიალა ხმა.

— აი, თრთოლიავ, ეს მეექვსე გაკვეთილის დასასრულია. ახლა ყველანი სახლში წავლენ. ხვალ კვირაა. ჩვენი რაზმი სამოგზაუროდ ემზადება. არ წაგიყვანთო, ასე მითხრა აყლაყუდა ნემსიწვერიძემ. არა და არ მინდა. მე შენს მეტი აღარავინაც აღარ მინდა. მიყვარს ქეთო მასწავლებელი, ძალიან მიყვარს, მაგრამ რა ვქნა, აგერ, რა მოხდა—შენი გულისთვის გაკვეთილიდან გამომაგდო. ვაჟაც გამიდგა, ჩვენი პიონერხელმძღვანელიც გაწყრა. რა ვუყოთ მერე. არ უნდათ—ნუ უნდათ! ვნახოთ, ვინ შეკრებს კაჟებს, ვნახოთ, ვინ იპოვის კუს. აი, მე და შენ გავიზრდებით, სასახელო მოგზაურები გა-

მოვალთ და ფეხით შემოვივლით კავკასიონს, ურალს და ტაიგას, ვნახავთ არხებს, კუიბიშევჰესს, ფერგანს და კახოვკას... მაგათ კი იარონ მხოლოდ ქალაქის ახლო-მახლო, რა გვენაღვლება.

ლეკვს ჩაეძინა. მიყუჩდა სანდროც. მას ნათლად წარმოუდგა თვალწინ, როგორ მიაპობდა მისი საზღაპრო პატარა გემი უსაზღვრო ვოლგის ლამაზ ტალღებს.

გემბანზე იდგა თმახუჭუჭა, კუნთმაგარი ვიღაც ვაჟკაცი და გემის საჭეს ყოჩაღად მართავდა. ვაჟკაცს ფერხთით მშვენიერი ნაგაზი უწვა. შორს, მზის სხივებზე თლილ ქვაში ჩასმული, საზღაპრო სასახლის მსგავსი, დიდი ელსადგურის ნაგებობა ბრწყინავდა.

* * *

ქეთო მასწავლებელმა მეექვსე გაკვეთილის შემდეგ პიონერხელმძღვანელი და ვაჟა ნემსიწვერიძე სამასწავლებლო ოთახში მიიწვია.

— სად არის სანდრო? — აღელვებით იკითხა მან.

— მე მგონია, შინ წავიდოდა.—მიუგო ვაჟამ.

— არა, ვაჟა, მე მითხრეს, რომ შინ არ წასულა, ისიც გავიგე, რომ წიგნები ჯერჯერობით მერხში უწყვია.

— რაღაც მოხდა, ვერ გამიგია!—თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა პიონერხელმძღვანელმა.

— ცოტა მეც ავჩქარდი, მგონი. ვერ ვაპატიებ ამას ჩემს თავს!—წყრომით წამოიძახა ქეთო მასწავლებელმა და ოთახში გაიარ-გამოიარა.

სამივე გაჩუმდა. ოთახში დუმილი ჩამოვარდა. კარები გაიღო. ღია კარებში ელენე მზარეულმა შემოჰყო თავი.

— სწორედ თქვენ გეძებდით, პატივცემულო ქეთო!—შემოსვლისთანავე მიმართა მან ფანჯარასთან მდგომ მასწავლებელს.

— მოდი, ელენე, მოდი, — მიიპატიჟა ქეთომ კარებში მდგომი ქალი.

ოთახში შემოსულმა დეიდა ელენემ პატარა ჩანთა სკამზე ჩამოსდო, თვითონაც ჩამოჯდა და ხვნეშით დაიწყო.

— მასწავლებელო, ჩემთან მეექვსე გაკვეთილზე თქვენი მოწაფე შემოვიდა, ნამტირალევი სახე ჰქონდა, ერთი ფინჯანი რძე მთხოვა და მათლაფის ნატეხი. ეს ამბავი მეუცნაურა, ჩემს მეუღლეს შევატყობინე. მოგეხსენებათ, ეზოს დარაჯად მუშაობს აქ. სარდიონმაც დამიდასტურა. იმასაც ეჭვი აეღო და სწორი აღმოჩნდა ჩვენი ეჭვი. სარდიონი სხვენში წააწყდა მითვლემილ ბიჭს, თან პატარა ლეკვი ჰყოლია, ის რძეც ალბათ იმისთვის იყიდა.

— როგორ თუ სხვენში? — იკითხა ქეთომ გაკვირვებით.

— სკოლის სხვენში!—განუმარტა დეიდა ელენემ.

პიონერხელმძღვანელმა ნემსიწვერიძეს გადახედა.

— აკი ვამბობდი, ნუ ამოვშლით სიიდან-მეთქი, ცოტა ამაყი ბიჭია და ალბათ ამანაც იმოქმედა!—ყრუდა თქვა მან.

— ყველანი ავჩქარდით, დაუფიქრებლად მოგვივიდა!—ჩაილაპარაკა ქეთო მასწავლებელმა და ოთახიდან სწრაფად გავიდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ თავდახრილი სანდრო მებუკე საყვარელ ქეთო მასწავლებელს ჩუმად და მორცხვად უამბობდა თრთოლიას პოვნის ისტორიას.



ეროვნული ბიბლიოთეკა





# მაქსიმ გორკი გორში

1892 წლის 13 თებერვალს გორში გათამაშდა შემაზრზენი ტრაგედია; წმინდაწყლის მინდორზე, ციხის ჩრდილოეთი კალთის გასწვრივ, მეფის ხელისუფლებამ საჯაროდ ჩამოახრჩო ორი მეამბოხე გლეხი — სანდრო ხუბულური და ტატე ჯიოშვილი. ჯალათები ვარაუდობდნენ, რომ ეს სცენა დამსწრეთა შორის „ყაჩაღებისადმი" ზიზღსა და მძულვარებას გამოიწვევდა. სინამდვილეში საწინააღმდეგო რამ მოხდა: დამსწრეთა უმრავლესობის თანაგრძნობა და სიმპათიები სავსებით გადაიხარა უდანაშაულოდ დასჯილი ალალი მშრომელი გლეხობის ამ ორი წარმომადგენლისადმი.

აი, სწორედ ამ დღეს მოხვდა გორში და დასჯის პროცედურას დაესწრო 24 წლის გორკი.

თქმა არ უნდა, რომ რუსის უცნაური ჭაბუკი თავისი დევკაცური აღნაგობით გორელ მოქალაქეთა ყურადღებას მიიპყრობდა.

წმინდაწყლის მინდორზე მიღებულ შთაბეჭდილებათა ნიადაგზე გორკიმ დაწერა მოზრდილი ნარკვევი „გორში", რომელიც 1896 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „ნიჟეგოროდსკი ლისტოკში".

ნარკვევი ასე იწყება: „გორი ძველი ქართული ქალაქია. იგი მოზრდილ რუსულ სოფელზე დიდი არაა; შუაში აღმართულია მაღალი გორაკი, გორაკზე ციხეა, გორაკის ფერდობებზე და მის დაბლობებში გაფანტულია ქოხები და პატარა სახლები, რომელთაგან თითქმის ყველა ქვიტკირისაა. მთელ ქალაქს რაღაც განსაკუთრებული და უცნაური ორიგინალობის რუხი კოლორიტი გადაჰკრავს".

ნარკვევში დაწვრილებითაა ნაამბობი, თუ როგორი უტეხი ნებისყოფით შეხვდნენ დასჯას ხუბულური და ჯიოშვილი. მთელი ეს ნაწარმოები დაწერილია გორკისათვის დამახასიათებელი მძაფრი საღებავებით.

აღსანიშნავია, რომ გორკიმ თავისი უკვდავი ნაწარმოები ლეგენდა „ქალიშვილი და სიკვდილი" სწორედ 1892 წელს დაწერა. ვინ იცის, იქნებ გორში ნახულმა სურათებმა შთააგონა მწერალს ამ ლეგენდის შექმნა?! იქაც ხომ სიკვდილით დაუმარცხებელი ადამიანებია გამოყვანილი! ამ თემაზე კარგი მოთხრობა („მოგზაური") დაწერა კ. ლორთქიფანიძემ.

1903 წელს გორკი მეორედ ჩამოსულა გორში.

როგორც ირკვევა, იგი ამის შემდეგ აღარ ყოფილა აქ.

მაგრამ გორის წიაღში დაფარული ძალა დიდმა მწერალმა გასული საუკუნის კოშმარულ პირობებშიც შენიშნა და მას „განსაკუთრებული" და „ორიგინალური" ქალაქი უწოდა.

ვ. ბაიაძე

ნახ. უჩა ჯაფარიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ივანე ურჯუმელაშვილი

ნახ. ა. სულავასი

# შეხვედრის შემდეგ

აი, ესეც იღბალი! რაღა დღეს აქვთ არითმეტიკის გაკვეთილი! ნეტავ გუშინ სულაც არ გასულიყო გარეთ, იქნებ როგორმე ამოცანა გამოეყვანა! არ უყვარს გივის ეს საგანი, ცოდვა გამჟღავნებული სჯობია, არც სხვა საგნებს სწავლობს ხუთებზე, მაგრამ, კარგად თუ ავად, სამებს მაინც იღებს. არითმეტიკისა კი რა მოგახსენოთ. მართალია თავიდანვე არ უყვარდა ეს საგანი, მაგრამ წელს განსაკუთრებით აუცრუვდა გული. სულ არითმეტიკის მასწავლებლის ბრალია. რატომღაც კარგი თვალით არ უცქერის. ისე დღე არ იქნება რომ გაკვეთილი არა ჰკითხოს. მის გარდა ოცდათხუთმეტი მოსწავლეა კლასში, ისევ იმათ შეეკითხოს, ვისაც ხუთებს უწერს.

როგორ მოიქცეს? მოდი და სულაც არ წავა სკოლაში. იცი რას იზამს? აიღებს წიგნებს და სკოლისაკენ გზას გაუდგება. ჩანთას ბაღის ბოლოში დამალავს, თვითონ კი გაკვეთილების დამთავრებამდე პიონერთა პარკში დაიმალება. ამის გაკეთება არ გაუძნელდება, მაგრამ იმდღევანდელივით ვაითუ მასწავლებელმა მამა ან დედა ინახულოს და ყველაფერი გამოაშკარავდეს! ისა სჯობია, ახლავე სკოლაში გაიქცეს და გაკვეთილების დაწყებამდე დავალება თამაზისაგან გადაიწეროს. ის და თამაზი ხომ მეგობრები არიან!

გივიმ ფაციფუცით ჩაალაგა ჩანთაში წიგნები და სკოლისაკენ მოჰკურცხლა.

სკოლის ჭიშკართან გივიმ თამაზი შენიშნა. იგი ჭიშკრის გასწვრივ წინ და უკან დადიოდა და გზისაკენ იცქირებოდა; როცა გივი დაინახა, ტაში შემოჰკრა და სირბილით მომავალ ამხანაგისაკენ გაიქცა.

გივი და თამაზი განუყრელი მეგობრები იყვნენ. უერთმანეთოდ ნაბიჯსაც არ გადადგამდნენ. მერხზეც ერთად ისხდნენ, დასვენების დროსაც ხელგადახვეულები დადიოდნენ, თამაშითაც ერთად თამაშობდნენ და ხანდახან გაკვეთილებსაც ერთად ამზადებდნენ. გივი და თამაზი საშინაო დავალებასაც გამუდმებით ერთმანეთისაგან იწერდნენ. რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა რომელიმე მათგანს დავალება არ ჰქონდა შესრულებული, სკოლაში ადრე მივიდოდა და ჭიშკართან ელოდა ამხანაგს, რომ ჩქარა გამოერთმია მისთვის რვეული და გადაეწერა.

— ამოცანა ხომ გამოიყვანე? — ჯერ კიდევ შორიდან დაუძახა თამაზს მთლად ოფლში გაწუწულმა გივიმ.

— რას მეკითხები! ნუთუ ვერ მიხვდი! რახანია ვდგავარ და გელოდები. მეგონა, შენ მაინც გექნებოდა გამოყვანილი და გადავიწერდი! — მიუგო იმედგაცრუებულმა თამაზმა.

— რა გვეშველება, საცაა ზარიც დაირეკება! — მცირე დუმილის შემდეგ წაილაპარაკა გივიმ.

— რაიმე უნდა ვიღონოთ, თორემ უკვე მეოთხედის ბოლოა და დღეს თუ ორები მივიღეთ, მეოთხედში ულაპარაკოდ ორები გამოგვყვება.

— მართალს ამბობ.

ბავშვები ერთხანს დუმდნენ და გამუდმებით ერთმანეთს შესცქეროდნენ.

— გაკვეთილს ვერ გავაცდენთ, — დაარღვია სიჩუმე თამაზმა, — იმ დღეს არ იყო, კლასის შეკრებაზე რომ დაგვამუშავეს, სკოლას უმიზეზოდ აცდენენო?! იცი, რას ვფიქრობ, ექიმთან მივიდეთ და თავი მოვიავადმყოფოთ. მე თავს ავიტკივებ, შენ კი — კბილს. ექიმი რას კარგავს, ადგება და გაგვანთავისუფლებს.

— ტყუილად ფიქრობ ასე... მიდი ექიმთან და მაშინ გაიგებ. ამას წინათ საინტერესო შეჯიბრება იყო ფეხბურთში, ძალიან მინდოდა დავსწრებოდი. ავდექი და კბილის ტკივილი მოვიმიზეზე. მივედი ექიმთან და ვეუბნები, ზევითა ძირის კბილი მტკივა-მეთქი. ეს კბილი იმიტომ ვუთხარი, მეგონა კარგად ვერ დაინახავს და გაუძნელდება გაგება-მეთქი. მაგრამ საქმეში ხარ! ექიმმა პირი ფართოდ გამაღებინა და იმის მაგივრად, რომ ქვევიდან აეხედა, ზევიდან ჩამხედა. მეუბნება: ეს კბილი საღი გაქვს და არ გეტკივებაო. როგორ თუ არ მეტკივება, ისე მტკივა, ლამის გული შემიწუხდეს, თქვენ ექიმო, ქვევითა კბილს უცქერით, მე კი ზევითა კბილი მტკივა, — ვეუბნები მე. თუ კი ამდენი იცოდი, ჩემთან რაღას მორბოდი. ზევითასაც კარგად ვხედავ და ქვევითასაც, ყველა კბილი, საღი გაქვს და შენი კბილის ტკივილი მოგონილიაო.

რა უნდა მექნა. ასე უცბად ხომ არ გამოვტყდებოდი. თავი მოვისაწყლე. ყბაზე ორივე ხელი მივიფარე და საცოდავად დავილრიჯე. ბევრი ველაპარაკე, ბევრი ვუმტკიცე, მაგრამ ექიმი მაინც ვერ დავარწმუნე. ეშმაკობას მიგიხვდი და ვერ მომატყუებო. მაინც არ დავბნეულვარ. ექიმო, — მივმართე აღელვებით, — რომ ამბობთ კბილი საღი გაქვს და არ გეტკივებაო, მაშ, თუ ასეა, ადამიანს გარედან რატომ არ ეტყობა, როცა თავი სტკივა ხოლმე-მეთქი. ექიმმა ერთი ისეთი გაიცინა, იქაურობა გააყრუა. მე ვითომ გავბრაზდი, შუბლი შევიჭმუხნე, ალმაცერად შევხედე ექიმს და ოთახიდან გამოვედი. როცა გივი უკანასკნელ ორ წინადადებას ამბობდა, შუბლი შეიჭმუხნა, თამაზს ცალი თვალით ახედ-დახედა და ჭიშკრის მიმართულებით რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

— რას ხითხითებ! — მოუბრუნდა იგი თამაზს, რომელიც გულიანად იცინოდა. — აბა, მითხარი, რა პირითღა მივიდე ექიმთან?

— მე მგონი, ყველაფერს ისა სჯობდა, ვინმესგან გადაგვეწერა!

— გმადლობთ, — თავის დაკვრით მიუგო თამაზმა, — ამას რაღა შენი თქმა უნდა, მაგრამ აბა, ერთი სცადე! ვისაც არ უნდა ეხვეწო, არავინ გადაგაწერინებს. თანაც სადმე კრებაზე წამოგძახებს, დავალებას სხვისგან იწერსო.

ამასობაში ზარიც დაირეკა. მეგობრებს პირველი გაკვეთილის გაცდენა უნდოდათ, მაგრამ ვერ გაებედათ.

— მასწავლებელმა იქნებ დღეს სულაც არ გასინჯოს საშინაო დავალების რვეულები! — თქვა ბოლოს თამაზმა.

— კიდევაც რომ გასინჯოს, რაღა მაინცდამაინც ჩვენ მოგვადგება! წინა გაკვეთილზე არ იყო, რომ ორივე გაგვიძახა დაფასთან? — მიუგო ამხანაგის ნათქვამით დაიმედებულმა გივიმ.

მეგობრებმა ერთმანეთის ნათქვამი მოიწონეს და კლასისაკენ მოჰკურცხლეს.

* * *

— არითმეტიკა წამოვიდა, ელი-ელი, იკუნჩე! — დაიძახა ნახევრად ღია კარებს ამოფარებულმა თამაზმა და უმალ უკანა მერხზე გივის გვერდით დაჯდა.

არც თუ ძალიან იმოქმედა ბავშვებზე ამ გაფრთხილებამ. ისინი კვლავ ხმამაღლა საუბრობდნენ, იცინოდნენ, ერთ ამბავში იყვნენ.

ხმაური მაშინაც არ შეწყვეტილა, როცა კლასში ტანდაბალი, გამხდარი მოხუცი შევიდა. ეს კია, ბავშვები უმალ ფეხზე წამოდგნენ. მასწავლებელმა შემოსვლისთანავე მოწაფეებს ხელის მოძრაობით ანიშნა, დაჯექითო, და აჩქარებული ნაბიჯით მაგიდასთან მივიდა. პორთფელიდან წიგნები და რვეულები ამოიღო და მაგიდის ორივე მხარეს დააწყო. სათვალეები გაიკეთა. კიტელის ჯიბიდან, რომელიც სხვადასხვა ფერის ფანქრებით ჰქონდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავსე, მუდმივი საწერი კალმისტარი ამოიღო და სიის ამოკითხვას შეუდგა.

მიუხედავად იმისა, რომ მომთხოვნი და ნიშნების დაწერაში ძალიან ძუნწი იყო, ბავშვებს მაინც უყვარდათ არითმეტიკის მასწავლებელი. V კლასში გივისა და თამაზის მეტი არავინ ემდუროდა. მოხუცი საერთოდ არ იყო მკაცრი, მაგრამ გივისა და თამაზს მკაცრად იმიტომ ექცეოდა, რომ ისინი გაკვეთილზე ცელქობდნენ, თანაც არითმეტიკაში მოიკოჭლებდნენ.

თვითონ გივიმ და თამაზმაც კარგად იციან, რომ არითმეტიკაში უჭირთ, მაგრამ როგორც ისინი ფიქრობდნენ, სულაც არ ჩამოუვარდებოდნენ იმათ, ვისაც არითმეტიკის მასწავლებელმა პირველ მეოთხედში სამები და ოთხები დაუწერა. ჰოდა მათთვისაც დაეწერა სამები, რა იქნებოდა! ისე კი, რაც მართალია, არც გივის უყვარს და არც თამაზს არითმეტიკა. ორივეს უნდა — მეზღვაური გამოვიდეს. მეზღვაურისთვის, მათი აზრით, სულაც არ უნდა იყოს საჭირო არითმეტიკა. სკოლას როგორც იქნება დაამთავრებენ, მერე კი — მშვიდობით თავისგამაბრუებელო ციფრებო და ამოცანებო! რა კარგია, რა კარგი მეზღვაურობა! რომელ ზღვასა და ოკეანეს არ გადასერავ! ქვეყნის რომელ კუთხეს არ ნახავ!

როცა მასწავლებელი სიის ამოკითხვას მორჩა, მოწაფეებს არითმეტიკის საშინაო დავალების რვეულები მოსთხოვა. ბავშვებმა რვეულები ამოიღეს. არც გივისა და თამაზს დაუგვიანებიათ რვეულების ამოღება. ორივე იმას ცდილობდა, თავი ისე მოეჩვენებია, ვითომდა დავალება მათაც ჰქონდათ შესრულებული, თუმცა გული ორივეს ერთნაირად უფრთხიალებდა.

მეგობრებს დაცდილი ჰქონდათ, თუ გაკვეთილი არ იცოდნენ, ან დავალება არ ჰქონდათ შესრულებული, მასწავლებელი სწორედ მაშინ ჰკითხავდა ხოლმე მათ. დღესაც ნამდვილად ასე იქნებაო, უთხრეს ზარის დარეკვისას მეგობრებმა ერთმანეთს და ახლაც ორივე სწორედ ამას ფიქრობდა.

მასწავლებელი პირველად იმ რიგს ჩაჰყვა, რომლის ბოლოს გივისა და თამაზის მერხი იდგა. მართალია ის ყველა რვეულს აცქერდებოდა, მაგრამ ერთი წამითაც არსად შეჩერებულა, ისე გავიდა ბოლოში და მეგობრებს თავზე დაადგა. ბავშვებს თავები რვეულში ჩაექინდრათ და ფეხზე არ დგებოდნენ, ვითომდა ვერც ხედავდნენ, რომ მასწავლებელი მათ მერხთან იდგა.

მასწავლებელმა ჯერ თამაზის რვეული აიღო და თავიდან ბოლომდე გადაფურცლა.

თამაზი მძიმედ წამოდგა. მასწავლებლისაგან ოდნავ პირშებრუნებული გაჩერდა. თავს მაღლა არ იღებდა და ქვეშ-ქვეშ გივის უცქერდა. მასწავლებელმა მას მხარზე ხელი წაავლო და თავისკენ შემოაბრუნა.

— თამაზ, დავალება რატომ არ შეასრულე?

— ბევრი ვეწვალე, მაგრამ ვერ გამოვიყვანე, მასწავლებელო! — მიუგო ყურებამდე აწითლებულმა თამაზმა.

მასწავლებელმა ახლა გივის რვეული აიღო.

— არც გივის გამოუყვანია, მასწავლებელო, — წამოიძახა აჩქარებით თამაზმა. ალბათ ეგონა, რომ ეს რამდენადმე მის მდგომარეობას შეამსუბუქებდა.

— გივის შენზე ნაკლებად არ შეუძლია პასუხის გაცემა... დაფასთან გამოდი! — უთხრა მასწავლებელმა თამაზს.

თამაზი მძიმედ გავიდა დაფასთან და უფრო მძიმედ ამოცანის გადაწერას შეუდგა. ერთთავად კეფაზე ხელს ისვამდა და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. უნდოდა ვინმეს ეკარნახა. მაგრამ კარნახს ვინ გაბედავდა, როცა მასწავლებელი კლასს თვალყურს ადევნებდა და არც ერთი მოძრაობა, უბრალო ჩურჩულიც კი შეუმჩნეველი არ რჩებოდა.

როცა მასწავლებელი დარწმუნდა, რომ თამაზს ამოცანის გამოყვანა დამოუკიდებლად არ შეეძლო, ერთ მოწაფეს უთხრა, დაეხმარეო.

გამხდარი ბიჭი მკვირცხლად წამოდგა და დაფაზე გაუსვლელად, სხაპასხუპით თქვა პირველი კითხვა.

თამაზს პირველ კითხვაზე პასუხის გაცემა არ გასძნელებია. მეორე კითხვას თვითონვე მიხვდა. ამოცანა ადვილად ამოხსნა და სწორი პასუხი მიიღო.

— თამაზ, ხომ ყველაფერი გაიგე? — შეეკითხა მასწავლებელი.

— გავიგე, მასწავლებელო, — მიუგო მორცხვად თამაზმა.

— შენც ხომ გაიგე, გივი?

— დიახ, გავიგე, — იყო პასუხი.

ორივეს ორებს გიწერთ, უთხრა მასწავლებელმა მეგობრებს და ახალი მასალის ახსნას შეუდგა. მასწავლებელი დაფისკენ შეტრიალდა თუ არა, გივიმ დრო იხელთა და თამაზს წასჩურჩულა, კალმისტარი მათხოვეო.

— მკვდარი მკვდარს აეკიდაო, ხომ გაგიგონია, — ჩურჩულითვე მიუგო თამაზმა, — მეც სახლში დამრჩა კალმისტარი.

მეგობრები ხელებითა და თვალებით ანიშნებდნენ ამხანაგებს თავიანთ გასაჭირს, მაგრამ ესეც მათი უიღბლობა — არავის ალმოაჩნდა ზედმეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალმისტარი. იმედგაცრუებულმა გივიმ ისევ ფანქარი ამოიღო. თამაზს კი ესეც არ ჰქონდა. წინა მერხზე მჯდომმა ამხანაგმა ათხოვა მას ფანქარი.



მასწავლებელმა ჯერ თამაზის რვეული აიღო.

მასწავლებელმა მაგალითი გადაწერა, ცარცი დაფაზე დადო, კლასისაკენ შეტრიალდა, მერხებს თვალი მოავლო. გარკვევით დაინახა გივისა და თამაზის ხელში ფანქრები, მაგრამ ბავშვებს არაფერი უთხრა, თუმცა მეგობრებმა უკმაყოფილება ამოიკითხეს მის თვალებში.

დასვენებაზე გივი და თამაზი მერხზე ისხდნენ და ჩურჩულებდნენ.

— ახლა, სწავლით თავიც რომ მოვიკლათ, არითმეტიკაში ორებს მაინც ვერ გამოვასწორებთ, — ეუბნებოდა მეგობარს დანაღვლიანებული გივი.

— რასაკვირველია, არითმეტიკის მასწავლებელი ისეთი მკაცრი კაცია, თან ისეთი ჩამახსოვრება იცის, რომ, რაც არ უნდა კარგად ვუპასუხოთ, მაინც ორებს დაგვიწერს, — კვერს უკრავდა თამაზი.

— დღეს უნდა მამაჩემს ვუთხრა, სხვა სკოლაში გადამიყვანოს, თორემ „არითმეტიკა“ ჩემზე გადაკიდებულია და არ გამახარებს.

— ეს რა კარგი რამე მოგიფიქრებია! ერთი, მეც უნდა ვცადო, იქნებ როგორმე მშობლები დავიყოლიო და სხვა სკოლაში გადამიყვანონ.

საღამოს პიონერრაზმეულის შეკრება იყო დანიშნული. ბავშვები შეხვედრას უწყობდნენ მშვიდობის მომხრეთა საკავშირო კონფერენციის დელეგატს.

უფროსმა პიონერხელმძღვანელმა ჯერ კიდევ გუშინ გააფრთხილა მეხუთეკლასელები, ყველა უკლებლივ დასწრებოდა შეკრებას.

ბავშვებს ის აფიქრებდა, ვაითუ შეკრებაზე გაეკრიტიკებიათ. ხუმრობა საქმე როდია, მთელი სკოლის მასწავლებლებისა, საპატიო სტუმრისა და მოწაფეების წინაშე გაწითლება!

მეგობრებმა გადაწყვიტეს კრებიდან გაპარულიყვნენ. მართლაც, განაპირა საკლასო ოთახში შევიდნენ და მერხის ქვეშ დაიმალნენ. ოთახს ქუჩის მხარეს ორი ფანჯარა ჰქონდა. დრო და დრო ბავშვები მალულად იხედებოდნენ ფანჯარაში და ჭიშკართან მდგარ უფროს პიონერხელმძღვანელს უთვალთვალებდნენ. ხელმძღვანელი ჭიშკრის გასწვრივ წინ და უკან დადიოდა, ერთავად გზას გასცქეროდა. ეტყობოდა, ვიღაცას ელოდა.

ცოტა დრო გავიდა თუ ბევრი, ჭიშკართან „პობედა“ შეჩერდა. ბავშვებმა გარკვევით დაინახეს, როგორ გაიღო ავტომანქანის კარი და მეზღვაურის ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი გადმოვიდა. მოსულმა უფროს პიონერხელმძღვანელს დიდი ხნის ნაცნობივით ჩამოართვა ხელი.

— ხომ არ დამაგვიანდა? — იკითხა ღიმილით მეზღვაურმა.

— ზუსტად დანიშნულ დროზე მობრძანდით, — მიუგო ხელმძღვანელმა.

— მეზღვაური ყოფილა ჩვენი სტუმარი, — წასჩურჩულა ამხანაგს თამაზმა, — შენი არ ვიცი, მე კი ძალიან მინდა შეკრებას დავესწრო. ნამდვილად საინტერესო ამბებს მოჰყვება.

— გული მეც ამას მეუბნება, — მიუგო გივიმ, — დასწრება აუცილებელია, მაგრამ ვაი, რომ კრებაზე არც შენ გამოგეყოფა თავი და არც მე.

მეგობრები ძალიან ჩააფიქრა ამ გარემოებამ.

— ევრიკა! — მცირე ფიქრის შემდეგ წამოიძახა გივიმ.

თამაზი გაკვირვებული უცქეროდა მეგობარს, ვერ მიმხვდარიყო, რას ამბობდა იგი.

— ევრიკა! — კვლავ გაიმეორა გივიმ და უმალ დაუმატა, — რამ გაგაოცა? ევრიკა! არ გახსოვს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არითმეტიკის მასწავლებელმა რომ გვიამბო ძველ ბერძენ მათემატიკოსზე?

— ევრიკა! — შესძახა თამაზმაც, ალბათ ამით ამხანაგისთვის უნდოდა ეთქვა, ახლა უკვე მიგიხვდიო.

— მაშ მომისმინე, —ამბობდა აჩქარებით გივი, — ავდგეთ და კულისებში დავიმალოთ. ბევრიც რომ თავი იმტვრიონ და თვალები აცეცონ, ვინ დაგვინახავს.

თამაზს ძალიან მოეწონა გივის ნათქვამი. მეგობრებმა კლუბისაკენ მოჰკურცხლეს.

კლუბში მთელი სკოლის მოწაფეებს მოეყარათ თავი. ისეთი ჭედვა იყო, რომ გივიმ და თამაზმა ძლივს მოახერხეს სცენამდე მისვლა. უადგილოდ დარჩენილი ბავშვები სკამების წინ იატაკზე ისხდნენ. ბევრ მათგანს ზედ კიბესთან მოეკეცნა. გივიმ და თამაზმა იმდენი იყოჩაღეს, რომ კიბის ძირას იატაკზე დასხდნენ. ახლა მხოლოდ შესაფერ დროს ელოდნენ სცენაზე ასასვლელად.

უცბად დარბაზში ტაშისკვრა და ვაშას ძახილი გაისმა. ბავშვებმა ერთბაშად იხუვლეს და უკან შეტრიალდნენ. ნელა მოაბიჯებდა მაღალი მეზღვაური და დარბაზში მყოფთ თავის დაკვრით ესალმებოდა. გივიმ ამხანაგს ხელი წაჰკრა და თვალის დახამხამებაში კიბეზე აირბინა. უმალ თამაზიც მიჰყვა.

კულისებში იმდენად ბნელოდა, რომ ბავშვები ერთმანეთს გარკვევით ვერ ხედავდნენ.

— ჩემს პატარა ბიჭობაში ძალიან მეჯავრებოდა არითმეტიკა, — ამბობდა მეზღვაური. — მეგონა, ეს საგანი ცხოვრებაში ნაკლებად გამომადგებოდა. შემდევ კი დავრწმუნდი, რომ ვცდებოდი. ზღვაოსნობაში არითმეტიკა იგივეა, რაც ზღვაში კომპასი. უკომპასოდ კი შორს ვერ წახვალ.

არითმეტიკის მასწავლებელი სტუმარს ესაუბრებაო, ხელებით ანიშნეს ერთმანეთს სმენად ქცეულმა მეგობრებმა და კისრები უფრო წაიგრძელეს.

— ახლაც არიან ისეთი ბავშვები,—მიუგო არითმეტიკის მასწავლებელმა, აი,—დღეს მეხუთე კლასში მქონდა არითმეტიკის გაკვეთილი. თითქმის მთელი კლასი ხუთებზე და ოთხებზე სწავლობს, მხოლოდ ორი მოწაფე მოიკოჭლებს. ერთიც და მეორეც მერცხალივით ბიჭებია... მაგრამ რატომღაც არ უნდათ, არ სწავლობენ. როგორი ზომები არ მივიღე, რა საშუალება არ ვიხმარე, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მივაღწიე, იძულებული ვარ ამ ორ ბავშვს გაკვეთილი ხშირად ვკითხო, რადგან მინდა მოლოდინში ვიყოლიო, რომ გაკვეთილის მოუმზადებლად სკოლაში არ მოვიდნენ. მაგრამ რა გამოვიდა, მათ გაკვეთილი არასოდეს არ იციან. ხშირად ვეკითხები ხოლმე ჩემს თავს, მე ხომ არა ვარ-მეთქი რამენაირად ამაში დამნაშავე... ამის გაფიქრებაზე კი გული მტკივა.

სწორედ ამ დროს ფარდა გაიხსნა. უცბად ტაშის ისეთი გრიალი გაისმა, რომ ბავშვებს კინაღამ გული საგულედან ამოუვარდათ.

როცა დარბაზში ხმაური მიწყდა, გივიმ ამხანაგს წასჩურჩულა.

— გესმის, თამაზ?

— მესმის,— მიუგო თამაზმა.

— გესმის? — კვლავ წასჩურჩულა გივიმ. — ახლო მოიწიე, სათქმელი მაქვს.

თამაზმა ყური ამხანაგის ტუჩებთან მიიტანა.

— დედა არ მომიკვდეს, ახლა ისე ამიჩუყდა გული, ლამის ვიტირო. ეს რა ამბავია ჩვენს თავს. ყველანი დარბაზში სხედან, საპატიო სტუმარს თვალებში უცქერიან, ტაშს უკრავენ, ზეიმობენ, მე და შენ კი თხუნელებივით კულისებში დავძვრებით.

— ამაზე განა მე არ მტკივა გული, მაგრამ რას იზამ...

მათ წინ ვიღაცამ ჩექმების ბაკა-ბუკით გაიარა და ტრიბუნაზე ავიდა. მეგობრებმა ლაპარაკთან ერთად სუნთქვაც შეწყვიტეს.

გაისმა მეზღვაურის ბოხი ხმა. იგი ბავშვებს მოუთხრობდა, თუ როგორ იბრძვიან საბჭოთა ადამიანები მშვიდობის შენარჩუნებისათვის...

— საბჭოთა პიონერ-მოსწავლეებმაც უნდა იბრძოლონ მშვიდობისათვის, — ასე დაამთავრა თავის სიტყვა ორატორმა, — მათ უნდა ისწავლონ, ისწავლონ და ისწავლონ...

კვლავ დაიგრიალა დარბაზმა.

პატარა მეგობრებს კინაღამ დაავიწყდათ, რომ კულისებში იმალებოდნენ. ცოტა გაწყდა ტაში არ დაუკრეს.

შეკრების დამთავრების შემდეგ, კულისებიდან გამოძვრნენ. ისინი სულ ბოლოს გავიდნენ კლუბიდან.

ჭიშკართან ბავშვები შეჯგუფებულიყვნენ და რიგრიგობით გადიოდნენ გარეთ.

საპატიო სტუმარს და არითმეტიკის მასწავლებელს, ყველასაგან რომ განცალკევებით იდგნენ, მეგობრული საუბარი გაებათ.

გივი და თამაზი ჯერ ისევ სკოლის შორიახლო მიაბიჯებდნენ, როცა მეზღვაური და არითმეტიკის მასწავლებელი გამოვიდნენ გარეთ.

მოხუცი გამომშვიდობებას და ფეხით წასვლას აპირებდა, მაგრამ მეზღვაური არ უშვებდა, გინდა თუ არა, ჩემი ავტომანქანით უნდა მიგიყვანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლშიო. მოხუცი ბევრს უარობდა, მაგრამ თავისი ვერ გაიტანა. პირველი რანგის კაპიტანმა „პობედის“ უკანა კარი გააღო, მოხუცი ძალდატანებით ჩასვა შიგ და თვითონაც გვერდით მიუჯდა.

გივი და თამაზი ერთმანეთს გაშტერებული უცქეროდნენ.

ბავშვებმა სიტყვის თქმაც ვერ მოასწრეს, რომ ავტომანქანამ გვერდით ჩაუქროლათ. მოხუცი გაღიმებული იჯდა ავტომანქანაში და საპატიო სტუმარს მხიარულად ესაუბრებოდა.

მეგობრებმა ავტომანქანას თვალი გააყოლეს და ნაბიჯს აუჩქარეს. გზაჯვარედინამდე ისე გავიდნენ, რომ არც ერთს კრინტი აღარ დაუძრავს.

გზაჯვარედინზე კი, სადაც მათი გზა ერთმანეთს სცილდებოდა, მეგობრები შეჩერდნენ.

— რას დაფიქრებულხარ? — დაარღვია სიჩუმე გივიმ.

— არაფერს... ისე... — მიუგო თამაზმა და ფიქრიდან გამოერკვა, — შენ თვითონ რაღამ დაგაფიქრა?

— მე? ჰო, იცი რა გითხრა, საღამოს ჩემთან გამოიარე, არითმეტიკაში ამოცანა ერთად გამოვიყვანოთ.

— მარტო ხვალ კი არა, ყოველდღე გამოვივლი.

— მაშ, მომეცი ხელი.

მეგობრებმა ერთმანეთს დიდი კაცებივით ჩამოართვეს ხელი, შემდეგ ერთმანეთს მხრებში ხელი ჩაავლეს და რაც ძალ-ღონე ჰქონდათ შეანჯღრიეს, თითქოს მძინარეები არიან და ერთმანეთის გამოფხიზლება უნდათო.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# დიდი სომეხი პოეტი



გამოჩენილი სომეხი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ოვანეს თუმანიანი ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვიდა გასული საუკუნის 90-იან წლებში. ოვანეს თუმანიანმა სომხურ პოეზიას ახალი მიმართულება მისცა, გაბედულად შეიტანა მასში სოციალური და დემოკრატიული მოტივები.

ოვანეს თუმანიანი განსაკუთრებული სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობდა ხალხში, იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ხალხთან. პოეტის შემოქმედების უშრეტი წყარო მშრომელი ხალხის ყოფაცხოვრება, მისი ჭირ-ვარამი იყო. მან ამ ქარგაზე შექმნა ისეთი ძლიერი პოეტური ნაწარმოებები, როგორიც არის: „ანუში“, „ლორელი საქო“, „მარო“ და სხვ.

ო. თუმანიანი დაიბადა 1869 წელს ალავერდის რაიონში, სოფელ დსეღში. თუმანიანმა ამავე სოფელში მიიღო დაწყებითი განათლება, ხოლო 1883 წელს შეიყვანეს თბილისის ნერსესიანის სახელობის სასულიერო სემინარიაში, რომელიც მძიმე ეკონომიური პირობების გამო ვერ დაამთავრა, — იგი მესამე კლასიდან გამოვიდა. სამწერლო ასპარეზზე გამოსვლამდე თუმანიანი ლუკმა-პურისათვის მუშაობდა თბილისის სხვადასხვა დაწესებულებებში გადამწერლად, კანცელარიის გამგედ და სხვ.

1912 წელს ო. თუმანიანმა რამდენიმე მწერალთან ერთად ჩამოაყალიბა ამიერკავკასიის მწერალთა ამხანაგობა, რომლის თავმჯდომარედ თვითვე იქნა არჩეული.

თუმანიანი შეუპოვრად ებრძოდა თვითმპყრობელობას. მისი ჰუმანური სული ვერ ითმენდა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას და ამის გამო თავის ლექსებში და მოთხრობებში — „მოხუცის ოხვრა“, „გიქორი“, „ჯარა“ და სხვ. მრისხანედ ამათრახებდა ყველას, ვინც ადამიანის ექსპლოატაციით ჯიბეს ისქელებდა, ვინც სხვისი ტანჯვითა და შრომით სიმდიდრეში და განცხრომა-ფუფუნებაში ცხოვრობდა.

ოვანეს თუმანიანი განსაკუთრებული გულისწუხილით მოსთქვამდა მეფის კოლონიად ქცეულ სომხეთის ბედზე. იგი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო სომეხ მწერალთა შორის, რომელიც აღფრთოვანებით შეხვდა ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას.

ო. თუმანიანი განთქმულია არა მარტო როგორც პოეტი და მწერალი, იგი აგრეთვე შესანიშნავი მთარგმნელია: ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ბაირონის და სხვ. მან იშვიათი ოსტატობით თარგმნა აგრეთვე დიდი ქართველი პოეტის ილია ჭავჭავაძის ლექსები.

ოვ. თუმანიანმა მთელი თავისი სიცოცხლე თბილისში გაატარა. აქ დაიწყო მისი, როგორც პოეტისა და მწერლის დავაჟკაცება. მას უსაზღვროდ უყვარდა საქართველო, მისი ბუნება, ადამიანები, და მუდამ ახლო დამოკიდებულებაში იყო ქართველ პროგრესულ ინტელიგენციასთან. ეს მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა და სიყვარული პოეტმა გულწრფელად გამოხატა თავის ლექსებში.

1893 წლის 25 აპრილს მან შესანიშნავი ლექსი უძღვნა გენიალური ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ხსოვნას. მას შემდეგ პოეტმა დაწერა ცნობილი ლექსები: „საქართველოსათვის“ და „საქართველოს პოეტებს“.

ოვ. თუმანიანი გარდაიცვალა 1923 წ. 23 მარტს ქ. მოსკოვში. მისი ნეშტი ჩამოსვენებული და დაკრძალული იქნა ქ. თბილისში.

ა. დავითიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლენგსტონ ჰიუზი

ნახ. დ. ხახუტაშვილისა

# მამა და შვილი*

პოლკოვნიკი თომას ნორვუდი დიდი სახლის ზღურბლზე იდგა, და პლანტაციის მტვრიან ქუჩას გაჰყურებდა. დღეს მისი უმცროსი ვაჟი ბერტი უნდა დაბრუნდეს შინ.

კაცმა რომ თქვას, ეს ბიჭი, რომელიც ოცი წლის წინათ დაიბადა, პოლკოვნიკის ნამდვილი შვილი არ ყოფილა, პოლკოვნიკ თომას ნორვუდს საერთოდ არა ჰყოლია ნამდვილი შვილი—თეთრი და კანონიერი მემკვიდრე. ეს ბიჭი მისი სახლის გამგებელი ზანგი ქალის კოლერი ლუისის შვილი იყო.

პოლკოვნიკი ნორვუდი საკუთარ თავსაც კი არ გამოუტყდებოდა იმაში, რომ ახლა კარის ზღურბლზე იდგა და თავის ნახევრად ზანგ შვილს ელოდა. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე იყო. ეჩქარებოდა გაეგო, როგორ შეიცვალა ბიჭი მას შემდეგ, რაც სკოლაში მიაბარა. ექვსი-შვიდი წლის განმავლობაში ერთხელაც არ მიუცია ბიჭისთვის ნება, შინ მოსულიყო. თქვა და მორჩა—მეტად აღარ დამენახვოსო. მაგრამ სინამდვილეში მაინც ენატრებოდა მისი ნახვა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პოლკოვნიკის ხუთი შვილისგან, ეს ბიჭი ყველაზე ლამაზი და მოხდენილი იყო. უყვარდა ხოლმე არა მხოლოდ თავისი შავი დედის, არამედ თეთრი მამის გამოჯავრებაც. კოხტა ბიჭი იყო და ჯიუტი—ყველაფერში მამას ჰგავდა. თორმეტი წლისა რომ შეიქნა, ზანგების სასწავლებელში გაგზავნეს (იქვე, ჯორჯიას შტატში), და ახლა საზაფხულო არდადეგებზე შინ ბრუნდებოდა.

ნორვუდი სახლში შევიდა, კარები მიიხურა და ზარის კანაფს ჩამოჰკრა ხელი. ოთახში შემოვიდა მოხუცი მოსამსახურე ზანგი, რომელმაც სასმელი შემოუტანა პოლკოვნიკს.

— ბიბლიოთეკაში ვიქნები, არავინ შემაწუხოს!

— მესმის, ბატონო,—უპასუხა მოსამსახურე ზანგმა.

პოლკოვნიკი განგებ ჩაიკეტა ბიბლიოთეკაში, რათა მოსამსახურე ზანგებს ისეთი შთაბეჭდილება შექმნოდათ, თითქოს ოდნავადაც კი არ აინტერესებდა თავისი ბიჭის ამბავი. გადაწყვეტილი ჰქონდა, ბერტის ჩამოსვლის შემდეგაც რამდენიმე საათი გაეტარებინა ბიბლიოთეკაში. მაგრამ ანგარიშის ქაღალდებს რომ ჩაუჯდა, თვალები მაინც ფანჯრისკენ გაექცა; დააშტერდა გზას, რომელზედაც მტვრის კორიანტელში გახვეული მანქანა უნდა გამოჩენილიყო.

პოლკოვნიკი ფიქრებში წავიდა, მის მეხსიერებაში აღსდგა პატარა ბიჭი, რომელიც მან რამდენიმე წლის წინ სცემა თავლაში. ახლა ის ბიჭი გაიზარდა და უკვე შინ ბრუნდება.

ერთხელ, ნაშუადღევს, თავლასთან, სადაც პოლკოვნიკი ნორვუდი თავის ცხენებს ათვალიერებინებდა ქალაქელ სტუმრებს, ბერტი მოვარდა. თითქოს ნამდვილი თეთრი ბავშვი იყო და პოლკოვნიკსაც ძალიან ჰგავდა. ყვირილით მოვარდა: „მამა“. (სწორედ ასე დაუძახა ხალხში!) მამა, დედამ სადილი მზად არისო“.

პოლკოვნიკმა წიხლი ჰკრა და ცხენების ფეხებქვეშ შეაგდო, მაშინვე, სტუმრების თანადასწრებით. მერე თავლაში ჩაკეტა და მაგრად მიბეგვა. ასე ასწავლა ბავშვს ჭკუა, რომ მისთვის მამის დაძახება, და ისიც თეთრ ხალხთან, აღარასოდეს გაებედნა.

„მაგრამ ბერტს ჭკუას ასწავლი?!—გაიფიქრა პოლკოვნიკმა. —ისეთი თავნება ბიჭია“!—ნორვუდს თავში გაუელვა სხვა უსიამოვნო მოგონებებმაც, რაც ამ ბიჭის სახელთან იყო დაკავშირებული. მთელი დღეები წინა ეზოში თამაშობდა, დიდ სახლშიაც კი შეირბენდა ხოლმე, რამდენს ეჩიჩინებოდა დედამისი, მაგრამ მაინც ვერ შეაგნებინა, რომ უკანა ეზოში უნდა ყოფილიყო, სხვა ზანგის ბავშვებთან ერთად, ან სულ ქვემოთ, ზანგების უბანში. მაგრამ არ იქნა, ბერტმა მაინც ვერ ისწავლა თავისი ადგილი.

„სულ მე მგავს,—გაიფიქრა პოლკოვნიკმა,—ცეცხლია პირდაპირ! კორამ მითხრა, კლასში პირველი მოწაფე არისო... თურმე ფეხბურთელთა გუნდსაც კაპიტნობს... ჰმ, ფეხბურთის თამაშზე აცდენენ დროს ზანგების სკოლებში!.. არა, კაცმა რომ თქვას, ყოჩაღი ზანგი კი იქნება“.

გვიან ნაშუადღევს გამოვიდა პოლკოვნიკი ბიბლიოთეკიდან; სასტუმრო ოთახში გაიარა, ძველი ჩალის ქუდი აიღო და ქუჩაში გავიდა. ბამბის პლანტაციებში მოჩანდა მისი ზანგების შავი ზურგები. გრძელმა მცხუნვარე დღემ ჩაიარა და ჰაერში მიწის განსაკუთრებული სუნი იდგა. პოლკოვნიკი ნაკადულს მიადგა, შემობრუნდა, მინდორს შემოუარა და ბილი-

* იბეჭდება შემოკლებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

კით დაბრუნდა შინ; გაიარა დიდი ხეების ქალა, რომელიც მონების ძველ უბანს ერთვოდა და უკანა ეზოდან მიადგა დიდ სახლს.

შორიდანვე ისმოდა ზანგების მხიარული ჟრიამული. ხალხს რომ მიუახლოვდა, სამზარეულოს პარმაღიდან შავი შიშველი მკლავები და სახეები შენიშნა. კორა ეზოში იჯდა პატარა სკამზე და ეტყობოდა ქელესათვის ხილს რეცხავდა. მოხუცი, ჩასუქებული მზარეული ლივონია პარმალზე იდგა და მუხუდოს არჩევდა სადილისათვის. დანარჩენი ზანგები ზოგი კიბეზე და მიწაზე ჩამომჯდარიყო, ზოგიც ისე იდგა. პოლკოვნიკმა იცოდა, რომ ზანგებს ამ დროს აქ ყოფნის საფუძვლიანი მიზეზი არა ჰქონდათ. მართლაც, როგორც კი მოჰკრეს თვალი ნორვუდს, ბევრი მათგანი ხელად გაიძურწა, ზოგმა ბელელს მიაშურა, ზოგმა კიდევ სხვა სამუშაოს.

პოლკოვნიკმა შენიშნა ზანგების ჯგუფში მდგარი მაღალი ჭაბუკი, რომელსაც ეცვა თეთრი სპორტული შარვალი და ლურჯი პერანგი. შორიდანვე ჩანდა, რომ კოხტად და ფაქიზად იყო ჩაცმული—თეთრკანიანსა ჰგავდა. ნორვუდმა მაშინვე იცნო თავისი შვილი და თავისდაუნებურად აღელდა. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. პოლკოვნიკმა წარბები შეჭმუხნა, მხრები აიჩეჩა, ნიკაპი აიწია... ერთი სიტყვით წინასწარვე მოემზადა, რომ როგორც თეთრკანიანს შეეფერება, ღირსეულად გაევლო ზანგების წინ. ზანგები, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივ დაფეთდებიან და მოწიწებით დაიხევენ. პოლკოვნიკი ჩაივლის და უბრალოდ იტყვის: „გამარჯობა, ბერტ!“, ასე მიმართავს იმ ბიჭს, თავის შვილს, მერე, ალბათ, წამით შედგება და ნახავს, რას იტყვის ბიჭი.

სიცილი გაჰქრა, ჟრიამული მიწყნარდა და თეთრი ადამიანის ყოველი ფეხის გადადგმაზე თანდათანობით სამარისებური სიჩუმე მყარდებოდა.

— გამარჯობა, ბერტ!—თქვა პოლკოვნიკმა.

— სალამო მშვიდობისა, პოლკოვნიკო ტომ.—მკვირცხლად და თავაზიანად მიუგო ბიჭმა და, თითქოს ტიკინას შეცდომით კანაფი ჩამოსწიესო, ხელი გაუშვირა ჩამოსართმევად.

პოლკოვნიკმა დახედა მისკენ გაშვერილ ღონიერ, თითქმის თეთრ ხელს, მაგრამ არავითარი სურვილი არ გამოუხატავს, რომ მასაც საპასუხო მოძრაობა გაეკეთებინა. მისი თვალები კვლავ შეხვდა მის წინაშე მდგარი შვილის თვალებს. ბიჭმა თვალები გაუშტერა. მაგრამ მის მოშავო კანს სიწითლემ გადაჰკრა, როცა პოლკოვნიკი ხმისამოუღებლად შებრუნდა და სახლში შევიდა. ბიჭმა ჩამოუშვა ხელი. სამარისებური სიჩუმე ზანგების ჩურჩულმა გაჰკვეთა.

ეს მოხდა მამასა და შვილს შორის. დედა იმ დროს იქვე იჯდა, ვედროში ქლიავს რეცხავდა და ვერ გაეგო, რა მოხდა. მაგრამ საშინლად ცივი ეჩვენა წყალი ვედროში, რადგან უეცრად ისე გაუხურდა ხელები, თითქოს ცეცხლი მოეკიდაო.

* * *

ბერტს სულაც არ მიუწევდა შინისკენ გული. იგი, ხაერთოდ, გრძნობდა, რომ სახლი სულაც არ გააჩნდა; შავი დედა და თეთრი მამა! მისი საწოლი უბადრუკ ზანგურ ქოხში დგას, ბამბის პლანტაციის ბოლოში. კორას ბავშვებს დიდედა ტობი ზრდიდა ქოხში, დიდი სახლის გადაღმა. თვით კორა კი დიდ სახლში იყო. დიდედა რომ მოკვდა, ბერტის უმცროსი და კორას ბიძაშვილმა აღზარდა.

„ჯოჯოხეთია“,—ფიქრობდა შინისკენ გამომგზავრებული, ზანგების ვაგონში მჯდომი ბერტი. მის მოგონებაში გაცოცხლდა ბავშვობის სურათები. რაც თავი ახსოვს, მან იცოდა, რომ პოლკოვნიკის შვილი იყო. ჯერ ერთი, თითქმის სავსებით თეთრი კანი ჰქონდა, პირველი შეხედვითვე გამოირჩეოდა პლანტაციაში მომუშავე ბავშვებისაგან. პატარაობისას თმა ისევე სწორი და წაბლისფერი ჰქონდა, როგორც ნორვუდს, თვალებიც მასავით ჭროღა. დიდედა ტობი ამას ყოველთვის სიამაყით იტყოდა ხოლმე. მაგრამ ბერტმა თავიდანვე მიაქცია ყურადღება, რომ პლანტაციაში ყველა ბავშვი მამის გვარს ატარებდა, ხოლო ის, მისი ძმა და დები დედის გვარს — ლუისს. იგი იყო არა ბერტ ნორვუდი, არამედ ბერტ ლუისი. დედამისი დიდ სახლში ცხოვრობდა, შვილები კი — გადაღმა; ასეთი ამბები გულსა სტკენდა პატარა ბერტს.

ცოტათი რომ წამოიზარდა, ესმოდა ხოლმე, როგორ ამბობდნენ მასზე—დედას არაფერში არა ჰგავს, პირწავარდნილი პოლკოვნიკი ტომი არისო. როგორღაც ნორვუდისათვის მამის დაძახებას შეეჩვია. პოლკოვნიკი მრისხანედ და პირქუშად ეტყოდა ხოლმე: „ბიჭო, მეორედ აღარ გაბედო მამის დაძახება“! მაგრამ მაინც ვერ მოაშლევინა. იმ დღესაც მივარდა ბერტი და მიაძახა: „მამა, სადილი მზად არის“. მაშინ ისე მწარედ თხლიშა პოლკოვნიკმა, რომ ბავშვს თვალთ დაუბნელდა. თითქოს ბუზი მოეშორებინოს, ცხენების ფეხებქვეშ შეაგდო და დამშვიდებით განაგრძო სტუმრებთან მასლაათი. სტუმრების წასვლის შემდეგ კი უწყალოდ სცემა...

* * *

ბერტის დაბრუნების შემდეგ ყველაფერი ერთბაშად შეიცვალა დიდ სახლში. მისი ჩამოსვლის პირველსავე დღეს რაღაც მოხდა, რაღაც უჩვეულო, ყველაფერი აირია. ბერტი მტკიცე გადაწყვეტილებით დაბრუნდა—არ გამხდარიყო თეთრკანიანების უბადრუკი მონა ზანგი. პოლკოვნიკმა ეს მაშინვე იგრძნო, როგორც კი შეხედა მის ჩამოსართმევად გამოწვდილ ხელსა და ჭაბუკის ახოვან ტანს; იმიტომაც შეაქცია ზურგი და სახლში შევიდა. კორაც მაშინვე მიხვდა, რომ რაღაც სერიოზული ხდებოდა.

ფართოდ გაშლილი პლანტაციიდან ისევ მოისმოდა ზანგების სიცილისა და გუგუნის ხმები, მაგრამ ესეც განსხვავებული იყო, არ გავდა დილინდელ სიცილსა და ხმაურს. და არც დაემგვანებოდა აღარასოდეს.

— ბერტის ამბავი გაიგე?

— აღარ იქნება თეთრკანიანების უბადრუკი მონა ზანგი!

მორჩილად უნდა დახარო თავი და შიშით კანკალებდე; მუშაობით წელში წყდებოდე; არა—ხელი მაგრად მომუჭე, ასწიე და დაჰკარ! რაკი ეს აზრი გაგიჩნდება თავში, მორჩა, სავსებით შეიცვლები! ოი, ცხოვრების ფიალავ! ოი, მონობის კუთხევ! საკმარისია დენთის მარჯვედ ანთება და მერე მორჩა, ყველაფერი შეიცვლება,—ბამბის პლანტაციებს ცეცხლი მოედება, უბადრუკი ქოხები გადაიბუგება, მონობის ბორკილები დაიმსხვრევა, და ყველანი ერთბაშად, თეთრკანიანებიცა და შავკანიანებიც, ხელს ჩამოართმევენ ერთმანეთს, ფოლადივით შედუღდებიან!

— რატომ არ ჩამომართვა ხელი?—თქვა ბერტმა.—მეც ხომ ნორვუდი ვარ?

— ჩუმად, შვილო...

შავკანიანების გუგუნი კი იმავე დღეს მოედო ქოხებს, ბამბის პლანტაციებს, ქუჩებსა და შუკებს. ყველა იმეორებდა შინდაბრუნებული ბერტის სიტყვებს—აღარასოდეს ვიქნები თეთრკანიანის მონა ზანგიო.

„გესმის, შვილო, ბერტი დაბრუნდა და...“

„გესმის, შვილო, ასე თქვა...“

„გესმის, შვილო“...

„გესმის...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

გაიარა ივლისმა, აგვისტომ... ზაფხულის ცხელი მზე დინჯად მოძრაობდა ცაში. პოლკოვნიკმა უბრძანა ბერტს, პლანტაციაში იმუშავეო. ბერტი მაინც არ გავიდა სამუშაოდ...

პოლკოვნიკისთვის ეს ზაფხული საკმაოდ მძიმე გამოდგა. ბაზარზე ბამბის ფასი დაეცა; ერთი პლანტაციაში მომუშავე ზანგი სასიკვდილოდ სცემა თეთრმა ზედამხედველმა, რადგანაც ზანგმა უხეშად უპასუხა მეზობელ თეთრკანიან პლანტატორს. ზანგებს მღელვარება ეტყობოდათ.

პოლკოვნიკმა ნორვუდმა ზანგ მღვდელს უბრძანა რელიგია მომაშველეო. დე თავიანთი უბედურება ძველებურადვე სიმღერასა და ტირილს გააქარვებინონ ზანგებმა. რელიგია ძალიან შველის ასეთ საქმეს. ამის გამოცდილება აქვთ თეთრკანიან პლანტატორებს.

მაგრამ ახლა ყველაფერი შეიცვალა. ახლა მხოლოდ მოხუცებსა სწამთ ღმერთი. ნორვუდის პლანტაციებში ბერტმა ასწავლა ახალგაზრდებს, თეთრკანიანების უბადრუკი მონა ზანგები აღარ უნდა იყოთო. პოლკოვნიკი გრძნობდა, რომ ბერტმა ჩაამწარა ეს ზაფხული. რელიგიამ მარცხი განიცადა...

* * *

ის დღე, რომლითაც ჩვენი ამბავი მთავრდება, ასე დაიწყო.

ამოვიდა მწველი, ელვარე მზე და ადრეული შემოდგომის მთელი მცხუნვარება გადმოაღვარა მიწას. დილაც კი აუტანელი გახდა. გადამწიფებული ხილივით მოთენთილი ხალხი



პოლკოვნიკმა გახედა მისკენ გაშვერილ ლონიერ, თითქმის თეთრ ხელს...

ლოგინიდან გამოძვრა. დილის ჰაერი ხვატისაგან ცახცახებდა. პოლკოვნიკი წინა ღამეს შექეიფიანდა და ნაბახუსევზე თავი უბრუოდა. კორას უღრიალა, სუფთა ტანსაცმელი მომიტანეო და გინებით დაეშვა დაბლა.

ჭამა არ შეეძლო პოლკოვნიკს; მხოლოდ შავი ყავა მოსვა და გასაგრილებლად პარმაღზე გამოვიდა. იდგა და თავის პლანტაციას გაჰყურებდა, როცა უეცრად მტვრის კორიანტელში გახვეულმა ფორდმა ამოიქროლა, სახლს ჩაუარა და ქალაქისკენ გაემართა. საჭესთან ბერტი იჯდა.

პოლკოვნიკმა ხმამაღლა შეიგინა, სიგარა მოკვნიტა, სახლში შებრუნდა და საქმეში გართულ კორას წაადგა თავზე:— როგორ ბედავს, ამ უთენია ქალაქს წასვლას?! რამდენჯერ გამიფრთხილებია, ფორდს ხელი არ ახლო-მეთქი! რატომ პლანტაციაში არ მუშაობს... აკი ვუთხარი!

— დიახ, სერ, პოლკოვნიკო ტომ, — თქვა კორამ, — თქვენ მართლაც უბრძანეთ.

— როგორც კი დაბრუნდება, უთხარი მაშინვე ჩემთან მოვიდეს. თავით ფეხებამდე უნდა გავაძრო ყვითელი ტყავი.

— დიახ, სერ, პოლკოვნიკო ტომ.

უფრო ჩამოცხა. ჰაერის ცხელი ტალღები წამოიშალა პლანტაციიდან. პოლკოვნიკი ოფლში იწურებოდა. ოფლში იწურებოდნენ ბამბის პლანტაციებში მომუშავე შავი სხეულები, ის შავი ადამიანები, რომელთა შრომამ პოლკოვნიკის დოვლათი შექმნა. პოლკოვნიკი პარმაღზე იჯდა, მზეს მოფარებული, და გაკვირვებით ფიქრობდა—რამ გააგიჟა ეს ზანგები, როგორ ბედავენ წინააღმდეგობას. უცებ ტელეფონის ზარმა დაიწკრიალა. მისი ძველი მეგობრის, მისტერ ჰიგინსის აღელვებული და მქუხარე ხმა იყო. ქალაქიდან რეკავდა. პოლკოვნიკი შეჩვეული იყო თავისი მეგობრის ხმას, მაგრამ ერთხანს მაინც ვერ გაარჩია, რას ეუბნებოდა იგი. ხოლო როცა გაიგო, კისრის ძარღვები დაებერა. ხელის გული კი ოფლით დაუსველდა. ბოღმამ და სირცხვილმა ერთბაშად მოხარეს ეს ახოვანი კაცი. მისტერ ჰიგინსი ბერტის შესახებ ელაპარაკებოდა:

— იმ ყვითელმა ზანგმა...—ყვიროდა მისტერ ჰიგინსი,—იმ ყვითელმა ზანგმა შეურაცხყოფა მიაყენა...

ბერტმა შეურაცხყოფა მიაყენა თეთრკანიან ქალიშვილს, მარკების გამყიდველს ფოსტაში. ამიტომ აფრთხილებდა მისტერ ჰიგინსი პოლკოვნიკს, თავიდან მოიშორე ეს ზანგი, ხალხი ვეღარ იტანს, ყველას მოაბეზრა თავიო.

აი, რა მოხდა ფოსტაში: პატარა გაუგებრობა ხურდის დაბრუნებისას. მაგრამ ზანგის შეკამათებას როგორ აიტანდა თეთრი ქალიშვილი, თუნდაც შეცდომა მოსვლოდეს!

— მე ერთი დოლარი მოგეცით,—მიმართა ბერტმა,—თქვენ კი მხოლოდ სამოცდათოთხი სენტი დამიბრუნეთ.

ქალიშვილმა ხურდა გადათვალა და უთხრა: „მერე აკი რვა სამსენტიანი მარკა წაიღე! თავიდან მომშორდი, სხვებსაც უნდა მარკები“. რიგში მართლაც იდგა რამდენიმე თეთრკანიანი მოქალაქე.

— რვაჯერ სამი ხომ ოცდათექვსმეტი არ არის?! თორმეტი სენტი კიდევ მეკუთვნის თქვენგან.—უთხრა ბერტმა.

ქალიშვილმა ისევ გადახედა ხურდას და თავის შეცდომას მიხვდა. მერე ბერტს დააკვირდა—მის წინაშე იდგა ნათელი სახის, თითქმის თეთრი, ლურჯთვალა ზანგი... თანაც განათლებული ზანგი!.. ამას ისიც დაემატა, რომ ცხელოდა, თან ქალიშვილი უგუნებოდ იყო... თითქმის თეთრი, ლურჯთვალა ზანგი!.. იმის მაგივრად, რომ თავისი შეცდომა გამოესწორებინა, ქალიშვილმა იკივლა და თავი ფანჯრის რაფას დაარტყა.

რიგში მდგომი ორი—სამი თეთრკანიანი ბერტს მივარდა. გაქაჩეს და ფოსტიდან გაგდება დაუპირეს. ბერტს მაშინვე მოაგონდა, რომ ფეხბურთელი იყო, თანაც პოლკოვნიკ ნორ-ვუდის შვილი; ამიტომ წინააღმდეგობა გაუწია. ერთ თეთრ-კანიანს პირიდან სისხლი წამოუვიდა. ქალებმა იკივლეს. ბერტი გარეთ გავარდა, მანქანაში ჩახტა და გაქრა. ამასობაში მარკის გამყიდველიც მოსულიყო. იგი დაუზარებლად მო-უთხრობდა ყველას, თუ როგორ შეურაცხყო ზ.ნგმა.

— ო, ღმერთო ჩემო, ეს ჯოჯოხეთი იყო!

— ... მაგ ზანგმა თავისი ადგილი არ იცის, და ეს შენი ბრალია!—ღრიალებდა ტელეფონში მისტერ ჰიგინსი,—შენ გაგზავნე იგი სკოლაში. იმ დღეს იძახდა, ზანგი არ ვარო, ჩემი გვარი ლუისი კი არ არის, ნორვუდიაო. ასე ამბობს: ნორვუდი რომ მოკვდება, მისი პლანტაციები მე დამრჩებაო; ტრაბახობს, პოლკოვნიკის შვილი ვარო.

პოლკოვნიკს ტელეფონის მილი კინაღამ გაუვარდა ხელი-დან. ოთახიდან გამოვიდა და კორას დაუძახა. ვისკი მოითხო-ვა. დათვრა.

— შენი წყეული შვილი! – ყვიროდა იგი.—მოვკლავ!

კორა ტიროდა. პოლკოვნიკი ღრიალებდა. ქუჩაში მანქანა გამოჩნდა. ბერტი იყო. ნორვუდმა ჯოხი დაუქნია, გაჩერდიო. ბერტმა აინუნშიაც არ ჩააგდო მოხუცის გაბრაზება. არ გა-ჩერდა. პოლკოვნიკი სიცოფისაგან გაფითრდა; ადგა, ოთახში შევიდა, გასაღები მოძებნა, უჯრა გამოაღო და რევოლვერი ამოიღო. კორამ ღრიალი მორთო. პოლკოვნიკი კარებისაკენ გაემართა, მაგრამ მუხლებმა უმტყუნეს, კანკალი დააწყებინა და იქვე სკამზე ჩაიკეცა. რევოლვერი ხელში შერჩა.

* * *

ნაშუადღევს ნორვუდმა კორა შვილის მოსაყვანად გაგზავნა. რევოლვერი აღარ ჩანდა. ყოველ შემთხვევაში, კორას აღარ დაუნახავს.

ჩამავალმა მზემ გრძელი ოქროსფერი ბილიკებით დასერა დიდი ოთახის იატაკი. შემოდგომის სიცხისაგან ჰაერი დამძი-მებული და შეხუთული იყო. მოტეხილი, დაბერებული, წელში მოხრილი პოლკოვნიკი მაგიდასთან იჯდა. წინ ვისკი და სიგარები ედო. უჯრა ნახევრად გამოაღო. ბერტი რომ ოთახში შევიდა, ნორვუდი უცებ გასწორდა და მის თვალებს ერთბაშად დაუბრუნდა მბრძანებლური იერი. კორას უთხრა, ზევით წასულიყო, თავის ოთახში. რაღა თქმა უნდა, ბერტის-თვის არ მიუმართავს, დაჯექიო. ახოვანი ზანგი მამის წინაშე იდგა. მოხუცი წამოდგა და უეცრად მუშტი მოუღერა ბიჭს.

— გესმის თუ არა!—შეჰყვირა აცახცახებულმა მოხუცმა.—ახლა კი აღარ გაგამათრახებ, მოგკლავ! მითხარი რა გინდა, წესიერად ილაპარაკე.—მოხუცი კვლავ მიუჯდა მაგიდას და ვისკი დაისხა.

— წესიერად ლაპარაკი რას ნიშნავს?—ჰკითხა ბერტმა.

— ესე იგი, როგორც უბადრუკ ზანგს შეეფერება თეთრ-კანიანთან ლაპარაკი.—კბილებში გამოსცრა პოლკოვნიკმა.

— მე ხომ თქვენი შვილი ვარ!

მოხუცმა შუბლი შეჰმუხნა:—შენ კორას შვილი ხარ.

— უმამოდ?

— ბუში!—თქვა მოხუცმა.

ბერტმა ხელები მომუშტა. პოლკოვნიკმა უჯრიდან რევოლ-ვერი ამოიღო და მაგიდაზე დადო.

— შავი ნაბუშარი!—გაიმეორა მოხუცმა.

— ეს ადრეც გამიგონია,—სულმოუთქმელად მიუგო ბერტ-მა,—შენ დედაჩემს შეურაცხყოფ.



ხელი უშვა სხეულს, რომელიც ყრუ ბრახუნით დავარდა.

— მერე,—თქვა პოლკოვნიკმა და რევოლვერზე თითები აათამაშა,—მერე რა გნებავს?

ბიჭს მთელი სხეული დაეჭიმა, ძარღვები დაებერა.

— შენისთანა უბადრუკი ზანგები ხეზე უნდა ჩამოჰკიდონ! —განაგრძო მოხუცმა.

— მე უბადრუკი ზანგი არა ვარ,—მიუგო ბერტმა,—განა შენ მამა არა ხარ ჩემი? თუმცა მამა კი არა, ეშმაკი და ჯო-ჯოხეთი ხარ—შვილს იარაღს უღერებ.

— კისერს მოგტეხ! - დაიღრიალა პოლკოვნიკმა,—როგორ ბედავ ჩემთან ასეთ ლაპარაკს!—იგი წამოხტა.

— შენ მომტეხ კისერს? ბიჭს ფეხიც არ მოუცვლია ადგი-ლიდან. მამა მისკენ გაემართა.

— გაეთრიე, თავიდან მომწყდი. გაეთრიე, თორემ გაგათა-ვებ!—მოხუცმა კვლავ აიღო რევოლვერი. ბიჭი მაინც არ იცვლიდა ფეხს ადგილიდან.—გაეთრიე თორემ ტყვიებით დაგცხრილავ. გასწი, გამეცალე, აღარ დაგინახოს ჩემმა თვა-ლებმა!—პოლკოვნიკმა რევოლვერით აჩვენა უკანა კარები, რომელიც სამზარეულოსა და უკანა ეზოში გადიოდა.

— არა, ამ კარებიდან არ გავალ,—თქვა ბერტმა,—მე შენი მსახური არა ვარ. ტყუილად გგონია, შემაშინებ. უკანა კა-რებიდან ვერ გამაგდებ ძალლივით. მე წავალ,—განაგრძობდა ბიჭი და წინა კარებისაკენ მიემართებოდა, - მაგრამ მამაჩემის სახლიდან უკანა კარებში არ გავალ.

— ნაბუშარო ზანგო!—დაიღრიალა ნორვუდმა და გზა გა-დაუღობა, მაგრამ ბიჭი მაინც დინჯად მიემართებოდა.

— არ· გაბედო...—დაიწყო ნორვუდმა, რადგან უეცრად მკლავზე იგრძნო ბერტის ძლიერი ხელი,—არ გაბედო შენი ხელის... - მისმა ძვლებმა ჭახაჭუხი დაიწყო,—იქით შავი ხე-ლები...

— რატომ არ მესვრით?—შეაწყვეტინა ბერტმა და მაჯა გადაუგრიხა.

— ... მე!..

— ჰა, რატომ არ მესვრით?

პოლკოვნიკი დაიგრიხა, მოიხარა ზოლმისა და ტკივილისა-გან. რევოლვერი იატაკზე დავარდა.

— რატომ არ მესვრით?—კვლავ გაიმეორა ბერტმა და მა-

მის თეთრ კისერს თავისი ღონიერი თითები შემოუჭირა.— ჰა, რატომ არ მესვრი, მამი?

პოლკოვნიკმა ჰაერში გაასავსავა ხელები, ხროტინი დაიწყო, ენა გაუშრა, თვალები თითქოს დაეწვა.

— მესროლე! რატომ არ მესვრი? რატომ?

ირგვლივ ყველაფერი ჩაბნელდა. თეთრმა ხელებმა სავსავი შეწყვიტეს. გულის ცემა შეუჩერდა. ძარღვებში სისხლის ჩქეფა შეწყდა. იგი აღარ სუნთქავდა.

— რატომ არ მესვრი?—იმეორებდა ბერტი, მაგრამ პასუხი არ იყო.

როცა თვალები გადაეწმინდა ბიჭს, კარებთან დედამისი დაინახა. ხელი უშვა სხეულს, რომელიც ყრუ გრუხუნით დავარდა.

— რატომ არ მესროლა, დედა, აკი უნდა მოვეკალი?

— თავს უშველე,—წამოიძახა დედამ,—გაიქეცი, შვილო, წინა კარებიდან გადი, რომ სამზარეულოში არ დაგინახონ. ჭაობისკენ გაიქეცი, მინდორი გადასერი. მერე წყალში გასვალ და ძაღლები კვალს დაკარგავენ. ჩქარა, შვილო...

* * *

მეორე დღეს, დილით, ქალაქში, როცა ხალხმა დაინახა შუაგულ მოედანზე დაკიდებული, სისხლში მოსვრილი სხეული, ზოგმა სიამოვნებით განაცხადა:

„ახია მაგათზე, ეს დღე მოელით სხვა ზანგებსაც". მაგრამ ის არ იცოდნენ, რომ ბერტის ჩამოხრჩობა კი ვერ მოახერხეს, არამედ მკვდარი მოათრიეს აქ. სხვები, რომელთაც კარგად



იცოდნენ საქმის შინაარსი, ასე ფიქრობდნენ: „სჯობდა ცოცხალი ზანგისთვის მოგვეწყო ლინჩი. ჰა, იქნებ სხვაც ერია ნორვუდის მკვლელობაში?! ამ ბიჭის ძმა სადღა არის?!

საღამოს გაზეთებმა ასეთი ცნობა გამოაქვეყნეს: „ორმაგი ლინჩი ჯორჯიას შტატში. დღეს, ნაშუადღევს, შური იძიეს მდიდარი პლანტატორის, პოლკოვნიკ თომას ნორვუდის მეორე მკვლელზე. ზანგ ბერტ ლუისს წუხელ მოუწყვეს ლინჩი, მის ძმას, ვილი ლუისს კი — დღეს. შერიფმა ლინჩის მომწყობთაგან ვერავინ ვერ იცნო, პოლკოვნიკი ნორვუდი ჯერ არ დაუკრძალავთ, რადგან მას მემკვიდრე არ დარჩენია!"

ინგლისურიდან თარგმნა ვახტანგ ჭელიძემ

პიონერხელმძღვანელის დასახმარებლად

# ტურისტული მოგზაურობის ორგანიზაცია

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური, მშობლიური მზრუნველობით მრავალი ათასი ბავშვი ისვენებს და ჯანსაღდება პიონერულ ბანაკებსა და სანატორიუმებში.

მაგრამ არც ერთი სახის დასვენება თავისი ეშხითა და მიმზიდველობით არ შეედრება მშობლიურ მხარეში მოგზაურობის დროს დასვენებას. ეს კარგად იცის ყველამ, ვისაც მონაწილეობა მიუღია თუნდაც ერთ მოგზაურობაში.

პიონერ-მოსწავლეებმა თვით უნდა იგრძნონ ჩვენი ქვეყნის ძლიერი შემოქმედებითი მაჯისცემა, თავისი თვალით უნდა ნახონ, თუ როგორ ხორციელდება, ყველა უბანზე პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებანი.

ყოველივე ეს გვავალებს ენერგიულად მოვკიდოთ ხელი მოსწავლე ახალგაზრდობაში ტურიზმის მასობრივად დანერგვის საქმეს, რომელიც საუკეთესო საშუალებაა მშობლიური მხარის შესასწავლად. მშობლიურ მხარეში მოგზაურობის ორგანიზაცია სკოლის კომკავშირის და პიონერორგანიზაციის ღვიძლი საქმეა.

ყოველი სახის მოგზაურობა იმგვარად უნდა იყოს ორგანიზებული და ჩატარებული, რომ ის ეხმარებოდეს სკოლას თავისი ამოცანების გადაწყვეტაში: გააღრმაოს და გააფართოოს სასკოლო პროგრამით შეძენილი ცოდნა. აი რატომ არის აუცილებელი, რომ ყველა სასკოლო ექსკურსია ეწყობოდეს მასწავლებლების უშუალო დახმარებითა და ხელმძღვანელობით.

პიონერების მოგზაურობა შეიძლება მოეწყოს რამდენიმე საათით, ერთი დღით, ერთი ან ორი ღამისთევით და რამდენიმე დღით (არა უმეტეს 5-6 დღისა). მოგზაურობის დროს მოსახერხებელი და ოპერატიულია ერთად 12-15 პიონერმოსწავლის მოგზაურობა, რადგან ავტომობილისა და რკინიგზის ტრანსპორტით სარგებლობის მხრივაც ადვილია მცირერიცხოვანი ჯგუფის მგზავრობა.

მოგზაურობის ორგანიზაცია შეიცავს ორ ძირითად ელემენტს: წინასწარ სამზადისს და უშუალო ხელმძღვანელობას.

ა) წ ი ნ ა ს წ ა რ ი  ს ა მ ზ ა დ ი ს ი — პირველყოვლისა უნდა შედგეს მოგზაურთა ჯგუფი (ერთი ან ორი მომდევნო კლასის ჯანსაღი მოსწავლისაგან), დამუშავდეს მარშრუტი. მარშრუტის შერჩევის დროს გათვალისწინებული უნდა იქნას ლაშქრობის მონაწილეთა რაოდენობა, მათი ფიზიკური წრთვნა, თავისუფალი დროის და სამოგზაუროდ საჭირო ყველა სახსრების რაოდენობა.

მარშრუტის დამუშავება მეტად საინტერესო პროცესია: ხელმძღვანელი აგროვებს ლიტერატურას მარშრუტის ირგვლივ, იღებს კონსულტაციას სხვადასხვა საგნების პედაგოგებთან, მუზეუმებში, სამეცნიერო დაწესებულებებში, გამოცდილ მოგზაურებთან. შემდეგ მოგზაურობის ყველა მონაწილე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობს მარშრუტის თავისებურობის შესასწავლად; ჩაღდე-
ბა მიწერ-მოწერა მარშრუტზე მდებარე სკოლების პედაგო-
გებთან, კომკავშირის და განათლების განყოფილების მუშა-
კებთან. ამგვარად შესაძლოა ისე საფუძვლიანად იქნას შეს-
წავლილი მთელი მარშრუტი, რომ წინასწარი დათვალიერე-
ბაც არ გახდეს საჭირო. თუ ცნობები საკმარისი არ არის,
მაშინ ხელმძღვანელი მიდის მარშრუტის დასაზვერავად.

მთელ მარშრუტზე ხელმძღვანელი შეარჩევს როგორც მცირე შესვენებებს, აგრეთვე დაბანაკების, სხვადასხვა თამაშობების, დაკვირვებების და მასალის შეგროვების ადგილებს. ხელმძღვანელს თან უნდა ჰქონდეს ამ რაიონის მსხვილმასშტაბიანი რუკის ასლი — „მარშრუტის ხაზი“. მარშრუტის ხაზის ორივე მხარეზე უნდა მოიზომოს 20-35 კილომეტრი შესაბამისი მანძილი და გადაიღოს ასლი. ცხადია, „მარშრუტის ხაზი“ ორიენტირებული უნდა იყოს.

ბ) ლ ა შ ქ რ ო ბ ი ს გ ე გ მ ა უნდა შედგეს მარშრუტის „დაზვერვის“ შემდგომ. გეგმაში დადგენილი უნდა იყოს ლაშქრობის მიზანი, მარშრუტი, მონაწილეთა რაოდენობა და ლაშქრობის კალენდარული გეგმა.

კალენდარულ გეგმაში პირველ დღეებში ნავარაუდევი უნდა იყოს მცირე მანძილის დაძლევა, შემდეგ დღეებში მანძილი თანდათან უნდა ემატებოდეს. საერთოდ მარშრუტის დაძლევისათვის საჭირო დროს უნდა მივუმატოთ ერთი-ორი სამარაგო დღე (ცუდი ამინდის ან სხვა შემთხვევისათვის).

ნორჩ მოგზაურთა შორის დამოუკიდებლობის, აქტიურობის და შემოქმედებითი ნიჭის გამოვლინების და მათში აუცილებელი პრაქტიკული ჩვევების დანერგვის მიზნით, ყოველ მონაწილეს უნდა მიეცეს რაიმე დავალება (ამინდზე დაკვირვების წარმოება, სხვადასხვა კოლექციების შეგროვება, მარშრუტის აღწერილობა, დასაბანაკებელი ადგილის თვალზომით აგეგმვა, მდინარეების, ტბების, ხეობების, ტყეების აღწერა; ფოლკლორის ჩაწერა, სოციალისტური მშენებლობების აღწერა, ადგილობრივი თამაშობების შესწავლა — ჩაწერა, ფოტოგადაღება, საველე გაზეთების ჩაწერა-რედაქტირება და სხვ.).

რაც შეეხება სხვადასხვა მოვალეობებს (მნე, სანიტარი, მეკოცონე, მზარეული, კულტმუშაკი და სხვ.) ლაშქრობის მონაწილეებმა უნდა შეასრულონ მორიგეობით. დღიურებისა და შთაბეჭდილებების ჩაწერა და აგრეთვე მოგზაურობის დამთავრების შემდეგ შეგროვილი მასალის სისტემაში მოყვანა ევალება მოგზაურობის ყველა მონაწილეს.

როდესაც გეგმა დამტკიცებულია და რაზმი სრული აღჭურვილობით გასამგზავრებლად არის მზად, ერთი რგოლი თავისი მეთაურით ინიშნება მორიგედ.

მორიგეობა მეტად პასუხსაგები საქმეა: მოგზაურობაში ისინი ინაწილებენ მთელ სამეურნეო საქმიანობას – აგროვებენ შეშას, ანთებენ ცეცხლს, ხარშავენ კერძს, თვალყურს ადევნებენ მოლაშქრეთა საერთო ქონებას, პროდუქტების ხარჯვას და სხვ. გამგზავრების წინ უნდა შემოწმდეს თვით მოგზაურთა პირადი ინვენტარი განსაკუთრებით ფეხსაცმელი. ფეხსაცმელი უნდა იყოს ნახმარი, ფეხზე კარგად მორგებული. თუ მსუბუქი სპორტული წაღაა ქუსლზე უნდა დაეკრას ორი წყება რეზინი. ზურგჩანთის წონა 12—13 წლიანი ვაჟებისათვის არ უნდა აღემატებოდეს 4 კილოგრამს. გოგონებისათვის 2,5—3 კილოგრამს. საერთოდ მოგზაურის, როგორც ტანსაცმელი ისე საჭურველი უნდა იყოს მ ს უ ბ უ ქ ი, მ ო ს ა ხ მ ა რ ი, გ ა მ ძ ლ ე, ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი დ ა ა დ ვ ი ლ ა დ ს ა ტ ა რ ე ბ ე ლ ი.

გ) გ ზ ა შ ი. ახლად დამწყები მოგზაურები დღეში მოძრაობენ 4—5 საათს და გადიან 8—10 კილომეტრს, გაწვრთნილები მოძრაობენ 7—8 საათს გადიან 15 კილომეტრს (მთაგორიან ადგილებში). მოძრაობა იწყება დილით 6—7 საათზე (შეიძლება 5 საათზედაც) ზაფხულში, დილის 10 წუთიანი დაჭურვისა, ტანის ცივი წყლით დაზელვის და საუზმის შემდეგ მოძრაობა სწყდება 12—13 საათიდან 16—17 საათამდე (მთაში 15—16 საათამდე). ეს დრო უნდა მოხმარდეს დასვენებას და სხვადასხვა დავალებათა შესრულებას.

ყოველ 20 წუთში უნდა მოეწყოს ერთი, ერთნახევარ წუთიანი შესვენება ფეხზე დგომით. აღმართში სიარულის დროს ყოველ 10—15 წუთში მთელი რაზმი ერთბაშად მობრუნდება ზურგისაკენ და ეწყობა ასეთი შესვენება. საათში ერთხელ რაზმი 10—15 წუთით ისვენებს. არც ერთ შემთხვევაში საჭირო არ არის ზურგჩანთის მოხსნა.

მცირე შესვენებები ისეთ ადგილას უნდა მოეწყოს სადაც არ არის წყალი, რადგან სიარულის დროს წყლის სმა მავნებელია. წყურვილის მოსაკლავად. საუზმის დროს, ჩაის წინ, კარგია პაპიროსის ქაღალდში გახვეული ცოტაოდენი მარილის ჩაყლაპვა (2—3 გრამი). კარგია უშაქრო ჩაი, რადგან ძალიან ცივი წყალი საჭმლის მონელებას აფერხებს, წყურვილსაც არ კლავს. მგზავრობაში საჭიროა ყოველთვის ცხელი საჭმელით კვება, ოღონდ დასვენების შემდეგ, რადგან დაღლილი ორგანიზმი საჭმელს კარგად ვერ ითვისებს. ჭამისთანავე სიარული ან დაძინება დაუშვებელია.

ყოველი სამი დღის მოგზაურობის შემდეგ საჭიროა ერთი დღით შესვენების მოწყობა. დასახლებულ ადგილებში შეიძლება სკოლებში დაბინავება, ხოლო დაუსახლებელ ადგილებში — საკუთარ ან თვითნაკეთ კარვებში (მწყემსების ბინაში ღამისთევა დაუშვებელია, თუნდაც თავისუფალი იყოს).

ჯგუფი უნდა დაბანაკდეს დაღამებამდე ორი საათით ადრე. დაბანაკების ადგილი შეირჩევა ქარისაგან დაცულ და ისეთ ადგილას, სადაც ახლოა წყალი და შეშა. მოგზაურმა არასოდეს არ უნდა დაივიწყოს ბინისა და პირადი ჰიგიენის მტკიცედ დაცვა.

ბანაობა სჯობს თბილი წყლით; ცივი წყლით ტანის დაზელვა სასარგებლოა (წელზევით მაინც). მთის მდინარეში ბანაობა საშიშია, შეჩვეულებმა შეიძლება იბანაონ, ოღონდ ბანაობა დაუშვებელია, ახალ ნასადილევსა და უზმოზე.

მზე სამკურნალო საშუალებაა, მაგრამ დიდი ზიანის მოტანაც შეუძლია. საჭიროა მზეს თანდათანობით შეეჩვიოს კანი. თორემ ადვილად ჩნდება იარები, განსაკუთრებით მთაში, სადაც მზე მეტად მცხუნვარეა. თვალების მზის სხივებისაგან დასაცავად აუცილებელია მუქი სათვალეები.

სიარულის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ფეხების მოვლას. ოფლიანობის შემთხვევაში კარგია ბორისმჟავის ფხვნილის მოფრქვევა ფეხებზე. ფეხსაცმელი ყოველთვის მშრალი უნდა შეინახოთ თივით ან ჩვრებით გატენილი.

მოგზაურმა უნდა იცოდეს პირველი საექიმო დამხმარების გაწევა და სალაშქრო აფთიაქით სარგებლობა.

**მზია ერისთავი**
ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგურის დირექტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რ ა ვ ი კ ი თ ხ ო თ




## ალეკო შენგელია — „საბავშვო ლექსები“

ალეკო შენგელიას საბავშვო ლექსების წიგნი, რომელიც „საბლიტგამმა“ ახლახან გამოსცა, გამსჭვალულია საბჭოთა ქვეყნისადმი სიყვარულის გრძნობით. მისი ლექსები ნორჩ თაობაში აღვივებს და აძლიერებს პატრიოტულ გრძნობებს, ჩვენი სოციალისტური სამშობლოსადმი თავდადებასა და ერთგულებას. პოეტს ბავშვის ხასიათი, მისი მოქმედება და სურვილები ცოცხალ, დამაჯერებელ სახეებში აქვს გამოხატული. ამიტომ არის რომ ღრმად იჭრება ნორჩი მკითხველის გულში და ხელს უწყობს მის გონებრივ განვითარებას, მორალურ-ესთეტიკურ აღზრდას.

კრებულში განსაკუთრებით აღსანიშნავია ბელადისადმი მიძღვნილი ლექსები. ლექსში „სტალინს რომ გაუხარდება“ პოეტი პატარებს შემდეგი სიტყვებით მიმართავს:

„იხარეთ, თქვენ გაგიმარჯოთ,
გაიფურჩქნენით ვარდებად,
ისეთი კარგი იყავით,
სტალინს რომ გაეხარდება“.

ხალხთა დიდი ბელადისადმი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით არის გამთბარი აგრეთვე ლექსი „საზეიმოდ თქმული“. ნორჩ მკითხველზე ასევე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ლექსი „სიმღერა ბერიაზე“. მასში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დიდი მოღვაწის ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიასადმი ღრმა სიყვარულია გამოხატული.

პოეტი თავის ახალგაზრდა მკითხველს ესაუბრება ახალ ხუთწლედზე, სოციალისტური ქალაქისა და სოფლის გრანდიოზულ მშენებლობებსა და შრომის გმირებზე. ჩვენს ბავშვებს აცნობს რუსთავისა და სამგორის მშენებლობებს. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ლექსი „სიმღერა დიად სტალინურ ხუთწლედზე“. საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომით შთაგონებული პოეტი, ბავშვში დიადი მშენებლობების ნახვის, მათი ახლოს გაცნობის ინტერესს იწვევს.

კრებულში მოთავსებულია აგრეთვე პოემა „ვინ მინდა ვიყო“ (მაიაკოვსკის მიხედვით), რომელიც დიდაქტიკური ხასიათისაა. ეს პოემა მშრალ რჩევა-დარიგებაზე არ არის აგებული, მასში ამათუიმ პროფესიის უბრალო პროპაგანდასთან როდი გვაქვს საქმე, როცა ახალგაზრდა ამ პოემას კითხულობს, ცოცხალი, მიმზიდველი სახეებით და სურათებით გრძნობს, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველა ხელობა პატივისცემისა და დაფასების ღირსია, შრომა სიმამაცის, გმირობისა და ღირსების საქმეა.

ალეკო შენგელიას საბავშვო პოეზია თემატიკურად მრავალფეროვანია. მისი ლექსები ნორჩ მკითხველში აღვივებს და აძლიერებს პატრიოტულ გრძნობებს, სწავლისა და შრომისადმი სიყვარულს. ამიტომ ვურჩევთ ჩვენ ბავშვებს წაიკითხონ ეს წიგნი.

ვლ. ჯიბუტი

## ივ. ურჯუმელაშვილი — „მორანბონი“

ქართველი ახალგაზრდა მწერალი ივანე ურჯუმელაშვილი მონაწილეა იმ დიდი ბრძოლისა, რომელიც წარმოებდა იაპონელი სამურაების წინააღმდეგ კორეაში.

ახლახან „საბლიტგამმა“ გამოსცა ივანე ურჯუმელაშვილის წიგნი „მორანბონი“. წიგნში მოთავსებულია ნარკვევი „დღეები კორეაში“ და მოთხრობა „მორანბონი“.

მებრძოლმა მწერალმა ნარკვევში „დღეები კორეაში“ აღწერა ბრძოლით განვლილი გზა ხასანის ტბიდან ოცდამეთვრამეტე პარალელამდე. მაიორი მიტიაში, ლეიტენანტი აჟერიანოვი, სერჟანტი საკირკო, მებრძოლი ოთარ მჭედლიძე—აი, ნამდვილი უბრალო საბჭოთა ადამიანები, რომლებიც იბრძვიან ხალხთა განთავისუფლებისათვის. პარალელურად ავტორი აგვიწერს ამერიკელ იმპერიალისტებსა და იაპონელ სამურაებს, რომლებიც არავითარ სისაძაგლეს არ ერიდებიან, რათა დაიმონონ და გაძარცვონ თავისუფლების მოყვარე ხალხები.




ნარკვევში სადა ქართული ენით, დამაჯერებლად და ხატოვანადაა აღწერილი კორეის ლამაზი ბუნება, მისი მშვენიერი მთებითა და მდინარეებით; კორეელი პარტიზანები და მათი გმირული ბრძოლები ამერიკელ და იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

მწერალმა მოთხრობაში „მორანბონი“ აგვიწერა ჩრდილოეთ კორეელი ხალხის ბრძოლა ოკეანის გაღმელი კაციჭამიებისა და ლისინმანელი ყაჩაღების წინააღმდეგ.

ინ გორის დედა და ნიუნი ამერიკელთა მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვის დროს დაიღუპნენ. მარტოდ დარჩენილი ინ გორი დაუმეგობრდა კაი სუს. ეს ნორჩი პატრიოტები ასრულებენ სხვადასხვა სამხედრო დავალებას, ეხმარებიან სახალხო გამათავისუფლებელი არმიის ჯარისკაცებს, ქარხნის მილზე ღამით ჰკიდებენ კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის დროშას, ოკუპირებულ ფხენიანში აკრავენ პროკლამაციებს. ისინი ყოველივე ამას აკეთებენ მოფიქრებულად, ლეგენდარულ გმირ კრასნოდონელთა მიბაძვით. მოთხრობის სიუჟეტი ვითარდება ამ ორი ნორჩი პატრიოტის გარშემო.

დღეს მშვიდობისათვის ბრძოლა პროგრესული კაცობრიობის საქმედ იქცა. მშვიდობის საქმეს მსოფლიოში დიდი საბჭოთა კავშირი მეთაურობს. დღეს უფრო ამაყად გაისმის მშვიდობის მომხრეთა ხმა, ნაწარმოები გამსჭვალულია იმ რწმენით, რომ კორეას ამერიკელი იმპერიალისტები ვერ დაიმონებენ.

ი. ურჯუმელაშვილის წიგნი „მორანბონი“ კარგი საჩუქარია ნორჩი მკითხველისათვის.

ბაკური ბახტურიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოკლედ ყველაფერზე



## ჩინეთის უძველესი ხელოვნება

ოთხი-ხუთი ათასი წლის წინათ, ქვის საუკუნის ხანაში, ჩინეთში უკვე არსებობდა მეთუნეთა ხელოვნება. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მრავალი საუკუნით ადრე ჩინეთში ფართოდ იყო განვითარებული სამსხმელო წარმოება, ქვაზე და სპილოს ძვალზე ამოჭრა. მაშინდელი ქვის ბარელიეფები, გალაქული ნაკეთობანი, აბრეშუმის ქსოვილი, მოჭიქული კერამიკა და სხვ. ყურადღებას იპყრობს თავის ფორმით, სილამაზითა და სინაზით. XIV—XVII საუკუნეები შესანიშნავია კუსტარული მრეწველობის სწრაფი აღმავლობით. ამ პერიოდში ხალხის დაბალი ფენიდან გამოსულმა ოსტატებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს ბამბუკის მოჩუქურთმების ტექნიკაში, ლაქის ნაკეთობათა გამომუშავებაში, ბრინჯაოს ნივთების დამზადებასა და ფაიფურზე ორნამენტების ხატვაში.

ჩინეთის ამ მდიდარი კულტურის ნიმუშები ახლა პეკინში ინახება.

## არწივი და კომბაინი

ველ-მინდვრის არწივი საბჭოთა ქვეყნის სამხრეთ ტრამალების ბინადარია. იგი მღრღნელების დაუძინებელი მტერია. საკმარისია ითქვას, რომ თავისი მართვების გამოკვების პერიოდში ერთი წყვილი დედალ-მამალი არწივი ყოველდღე ათეულობით ციყვს, თაგვს და სხვა მღრღნელს სპობს.

ცნობილია, რომ არწივები აწყდებიან ტრამალებს მეტადრე მაშინ, როცა ტრამალზე ხანძარი გადაივლის, რადგან გამიშვლებულ მიწაზე ადვილდება მღრღნელების პოვნა. ამავე მიზეზმა დააკავშირა ახლა არწივი კომბაინთან.

ჩვენი ქვეყნის ტრამალებში, სადაც უხვად ითესება სასოფლო-სამეურნეო კულტურები, გამოვლენ თუ არა კომბაინები მოსავლის ასაღებად, გამოჩნდებიან არწივებიც. ისინი თავს დასტრიალებენ კომბაინებს, ზოგჯერ თავის ფრთებით კომბაინერსაც კი ეხებიან, სრულებით არ აშინებთ მოტორის ხმაური, ყურადღებას არ აქცევენ მარცვლეულის წასაღებად მოსულ ავტომობილებს და ირგვლივ მოფუსფუსე ხალხს, ქვასავით წამოვლენ ხოლმე ციდან და ბრჭყალებს ასობენ კომბაინით გაშიშვლებული მიწის ზედაპირზე თავგზააბნეულად მორბენალ მღრღნელებს.

თუ კომბაინს დიდხანს მოუხდა გაჩერება, არწივები მიფრინავენ თავის ბუდეებში, მაგრამ როგორც კი დაიძვრის კომბაინი და მოტორი აგუგუნდება, არწივები იმწამსვე მოფრინდებიან ნადირობის გასაგრძელებლად.

## სოფელ ზეჰაუზენის უბედურება

დასავლეთ გერმანიის სამხრეთ ნაწილში, ზემო ბავარიაში არის ერთი ტბა, რომელსაც შტაფელზეე ეწოდება. ეს არის ულამაზესი ადგილი. ამწვანებული გორაკები, აყვავებული ველ-მინდვრები და ტბის ლამაზი ნაპირები ძლიერ ამშვენებენ ამ კუთხეს.

ეს ტბა და მისი მიდამოები დიდი ხანია, ნაკრძალად ითვლებოდა და მრავალ დამსვენებელსა და ექსკურსანტს იზიდავდა. ტბის ერთ-ერთ კუნძულზე, რომელსაც ვიორტი ეწოდება, მრავალი უძველესი არქიტექტურული ძეგლია შემორჩენილი. მეორე კუნძული—ბუხაო განთქმულია განსაკუთრებით ლამაზი ბუნებითა და შესანიშნავი ასწლოვანი წიფლნარი ტყით.

ტბის ნაპირებზე გაშენებულია მეთევზეთა რამდენიმე სოფელი, რომელთა შორის ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანია სოფელი ზეჰაუზენი.

როგორც გერმანიის პრესა იტყობინება, ამერიკელებმა ამ ცოტა ხნის წინათ შტაფელზეეს ტბაზე სამხედრო ბანაკის მოწყობა გადაწყვიტეს. ასწლოვან ხეებს შორის თექვსმეტ მეტრიანი სიგანის განაკაფი გააკეთეს. კუნძულ ბუხაუზე იჩეხება ლამაზი წიფლნარი ტყე. აქ იქნება მოედანი სამხედრო მეცადინეობისათვის. სოფელ ზეჰაუზენის მცხოვრებლებს წინადადება მიეცათ, დასცალონ სოფელი. მის ადგილას ამერიკელები ყაზარმებს ააგებენ.

ამ შესანიშნავი ადგილების მცხოვრებთა უბედურებამ საპროტესტო გამოხმაურება გამოიწვია მთელი გერმანიის პროგრესულ წრეებში, მაგრამ ამერიკელი ოკუპანტები აქაც ისევე უბოდიშოდ იქცევიან, როგორც თავიანთ სხვა კოლონიებში.

## ინკუბატორი კოცონზე

1580 წელს ესპანეთის ქალაქ ვალიადოლიდეში კოცონზე დასწვეს იტალიელი სწავლულის დოქტორ პონტოს მიერ გამოგონილი ინკუბატორი. ძველმა ქრონიკებმა ბუნდოვანი ცნობები დაგვიტოვეს ამ ნაჭიერ ადამიანზე, რომელიც მსხვერპლი გახდა «წმინდათა» ინკვიზიციისა. შემონახულია საბრალდებო დასკვნა დოქტორ პონტოს საქმეზე, სადაც ნათქვამია, რომ დოქტორი პონტო ქალაქ მადრიდში ცხოვრების პერიოდში «დაუკავშირდა უწმინდურ სულებს» და მათი დახმარებით ააგო ყუთი, რომელშიც წლის ყველა დროში იჩეკება წიწილები, ღვთისა და განგების მიერ დაწესებული კანონების წინააღმდეგ.

დამცველთა რაზმს წამების ადგილზე ბერებისა და ინკვიზიციის ჩინოვნიკების წინამძღოლობით მიჰყავდა მსჯავრდებული, იქვე მიჰქონდათ მისი დედის ელეონორა დევივერის სამარის ძეგლი და კუბო ძვლებით, იმისათვის, რომ ესენიც დაეწვათ. ამ ასპარეზობას უკან მიჰყვებოდა ოთხი მცველი, რომლებსაც შავი საკაცით მიჰქონდათ მოზრდილი მბზინავი ყუთი—ინკუბატორი.

ინკუბატორი თოკით მიაბეს ბოძებზე, რომელთა ქვეშ შეშა ეყარა. ბოძების შუაში ხის პატარა დაფა მიაჭედეს. ამ ფიცრის დაფაზე მიმაგრებული იყო რამდენიმე შავი ფანტასტიური გამოსახულება კუდითა და რქებით. ქვეშ ჰქონდა წარწერილი:

«ეს ჯადოსნური მანქანა გამოგონილია დოქტორ ჯიოვანი პონტოს მიერ, ამ საქმეში ეშმაკების უშუალო მონაწილეობით».

მცირე ცერემონიის შემდეგ ხმელ ფიჩხს ცეცხლი წაუკიდეს. დოქტორ პონტოს განკიცხვის ტანსაცმელი ეცვა, დიდი, მწვანე სანთლით ხელში იდგა და დაღვრემილი უყურებდა იმას, თუ როგორ იწვებოდა მისი საყვარელი მანქანა.

თვითონ სწავლული, როგორც მოგვითხრობენ, იღბლად გაექცა ციხის მოხელეების ბრჭყალებსა და ინკვიზიციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტ ე ქ ნ ი კ ა

## ფოტოგრაფია წყალქვეშ

ოკეანეებისა და ზღვების ფსკერის ბიოლოგიურ-გეოლოგიური შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს წყალქვეშა ფოტოგრაფიის გამოყენებას. უკანასკნელი წლების მანძილზე წყალქვეშა ფოტოგრაფიამ ფართო გავრცელება ჰპოვა ოკეანეგრაფულ სამუშაოების შესრულების დროს.

წყალქვეშა ფოტოგრაფიაში არსებობს ორი მეთოდი—ხელის ფოტოგრაფია და ავტომატური ფოტოგრაფირება სპეციალური დანადგარის საშუალებით. მეორე მეთოდს ის უპირატესობა გააჩნია, რომ ამ დროს სურათების გადაღება დიდ სიღრმეზეა შესაძლებელი. მისი გამოყენება მოსახერხებელია აგრეთვე დრეიფისა, ან გემის ნელი სვლის დროს მრავალგზის გადაღების შესასრულებლად. ამჟამად ასეთი გადაღებები წარმოებს 1500—2000 მეტრის სიღრმეზე.

აპარატი შედგება ვერტიკალური ღეროსაგან, რომელიც გრძელ ბაგირზეა დამაგრებული. ღეროს წვერზე მოთავსებულია ფოტოკამერა, რომელიც წყალუჟონადი სალტით არის დაცული, ცოტა ქვევით — ნათურები, იმ საგნის გასანათებლად, რომელიც უნდა გადაიღონ. ღეროს ბოლოზე კი მოთავსებულია ავტომატური მოწყობილობა, როგორც კი ღერო შეეხება ფსკერს, ავტომატურად ჩაირთვება ნათურები და ფოტოაპარატიც გადაიღებს.

წყალქვეშა ფოტოგრაფიის გამოყენების შედეგად მკვლევარებმა უკვე მიიღეს ახალი მონაცემები ზღვის ფსკერზე ტალღების მოქმედების სიღრმისა და ფსკერულ დინებათა მიმართულების შესახებ.

* * *

## მინიატურული ცენტრალური გათბობა

წყლის გასათბობი პატარა ქვაბის დახმარებით, რომელიც მთავარ სანტექმრეწვის კიროვის ქარხანამ გამოუშვა, ადვილად შეიძლება ცენტრალური გათბობის მოწყობა, როგორც პატარა სახლებში, ასევე ცალკეულ ბინებშიც. ეს უბრალო ქვაბი თავისი ზომით არ აღემატება ჩვეულებრივ თუჯის ღუმელს. წყლის მილები ფარავს ქვაბის იმ კედელს, რომლის ქვეშაც წარმოებს გათბობა. გათბობის ფართობი 1,36 კვადრატულ მეტრს უდრის. ერთი საათის განმავლობაში ქვაბი 13 კილოკალორია სითბოს გამოჰყოფს. ეს საკმარისია 70 კვადრატული მეტრი



ბინის გასათბობად. ქვაბის წყლით მომარაგება წარმოებს წყალსადენი ქსელიდან. საწვავ მასალად იყენებენ როგორც შეშას, ასევე ქვანახშირსა და ტორფს.

## ე ლ ე ქ ტ რ ო ნ ა დ ი რ ო ბ ა

(სერიოზული და სახუმარო ამბავი)

კოცონი ირგვლივ შემომსხდარ მონადირეთა ჩრდილებს ეთამაშებოდა. უკვე ბევრი საინტერესო ისტორია იყო ნაამბობი, როდესაც სიტყვა აიღო ხნიერმა მონადირემ. მას სხვადასხვა ფერის თვალები ჰქონდა; ერთი შავი მეორე კი — ცისფერი.

— განა აგრე ნადირობენ? — თქვა მან და დამცინავად შეათვალიერა მონადირეთა ჩანთები. — შვიდი იხვი მოგიკლავთ ხუთ მონადირეს, ძაღლები რომ არ ჩავთვალოთ, ეჰ, განა მაგას ნადირობა ჰქვია?

— მაშ, როგორ გნებავთ? — ჰკითხეს განაწყენებულმა მონადირეებმა.

— მერე, მაგით რისი თქმა გინდათ? — წარბშეუხრელად მოსჭრა მოხუცმა. — მე მაგალითად უძაღლოდ ვნადირობ და... არც თოფს ვხმარობ. თოფი ხომ ჩამორჩენილი, პაპისდროინდელი ტექნიკაა. უთოფოდ ვნადირობ, მაგრამ, სამაგიეროდ, თანამედროვე ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით ვარ შეიარაღებული. ჩემი სანადირო იარაღი ელექტრომაგნიტია.

— ელექტრომაგნიტი?! — გაოცდნენ მონადირეები. — ეს რაღაა. ძაღლს ჰქვია ასე, თუ...

— მე ხომ გითხარით, რომ უძაღლოდ ვნადირობ-მეთქი. ელექტრომაგნიტი ძაღლი კი არა, ელექტროხელსაწყოა, ნუთუ არც ერთმა თქვენგანმა არ იცის რა არის ელექტრომაგნიტი?!

— ეს მაგნიტია, რომელიც ტრამვაის მსგავსად ელექტროწევაზე მუშაობს, — გაუბედავად შეაპარა ერთმა მონადირემ.

— როგორც უთო,—განმარტა მეორემ, — შეუერთებ შტეფსელს და უთოც გაცხელდება.

— ოჰ, ოჰ! — ჩაიცინა მოხუცმა. — მაინცდამაინც ვერ გამოგივიდათ მეცნიერული განმარტება, მაგრამ არა უშავს. ეგ საქმეს არ ეხება. ჰო, იმას მოგახსენებდით, რომ ჩემი ელექტრომაგნიტი მონადირის ჩვეულებრივ ჩანთაშია მოთავსებული. მაგონდება, უკანასკნელი ნადირობის დროს, სულ რაღაც, ნახევარი საათის განმავლობაში დავიჭირე ორას ჩვიდმეტნახევარი იხვი, სათუთუნე, ჯიბის დანა და ორმოცამდე ღილი.

მსმენელებმა პირი დააღეს. ვიღაცამ წამოიძახა: „ნადირობაც ასეთი უნდა“! მაგრამ მოხუცი სრულიად არ გრძნობდა თავს უხერხულად და განაგრძობდა:

— რას იტყვით, ხომ კარგი ნანადირევია?! არ მკითხავთ, როგორ მოვახერხე ყველაფერი ეს? სრულიად უბრალოდ. დავდექი მონადირეთა შორიახლოს და, როგორც კი ყოველი მხრიდან მოისმა სროლის ხმა, ჩავრთე დენი. ელექტრომაგნიტმა მოქმედება დაიწყო, მძლავრმა მაგნიტურმა ძალამ ჩემსკენ მოიზიდა მთელი ის ლითონი, რომელიც გასროლის შემდეგ იხვების სხეულში აღმოჩნდა. ფრინველი ზედიზედ ცვიოდა ჩემს ჩანთაში... საიდან გაჩნდა სათუთუნე? უბრალო ამბავია: ისიც ლითონისა იყო და ელექტრომაგნიტმა ხელიდან გამოსტაცა ერთერთ მონადირეს. როდესაც ეს უკანასკნელი თუთუნის გახვევას აპირებდა. ასევე მოფრინდა ჩემთან ჯიბის დანაც. რა ბრძანეთ? ღილები? დღესავით ნათელი ამბავია: ისინი არც ისე მაგრად იყვნენ მიკერებულნი მონადირეთა ტანსაც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელზე და ჩემმა მაგნიტმა ადვილად დასწყვიტა.

ელექტრომაგნიტი ძალლებს პირიდან აცლიდა იხვებს. ტყუილად ცდილობდნენ საწყალი ოთხფეხები ძლიერ ტექნიკასთან შებრძოლებას. ელექტრომაგნიტი გაოცებულ მონადირეებსაც სტაცებდა იხვებს.

ერთი პატარა მონადირე ისეთი ღონიერი და ჯიუტი აღმოჩნდა, რომ არაფრით არ დასთმო იხვი, ხელი არ გაუშვა. და იცით რა მოხდა? მაგნიტური ძალის გავლენით იხვთან ერთად ისიც ჩემს ჩანთაში აღმოჩნდა. საწყალი! მაშინ მიხვდა თუ რა შორს შესტოპა. ზევიდან სეტყვასავით აცვივოდა იხვები.

მოხუცი გაჩუმდა! ერთხანს მონადირეებიც ჩუმად იყვნენ. ბოლოს ერთმა მათგანმა ჰკითხა:

— მე მაქვს ერთი შეკითხვა: ნადირობისას თქვენ ორას ჩვიდმეტნახევარი იხვი დაგიჭერიათ... საიდან გაჩნდა ეს ხუთი მეათედი იხვი?

— სრულიად უბრალოდ; ერთმა ენერგიულმა ძაღლმა და ელექტრომაგნიტმა შუაზე გაგლიჯეს იხვი. ახლა გასაგებია?

— მეც მაქვს შეკითხვა, — წარმოთქვა მეორე მონადირემ, — სად არის ახლა თქვენი ელექტრომაგნიტი? რატომ არ გამოიყენეთ დღევანდელ ნადირობაში?

მოხუცმა ღრმად ამოიოხრა:

— ეჰ! რა გითხრათ! ელექტრომაგნიტი დაიღუპა. ომის უკანასკნელ წელს ფრონტის შორი ახლოს ვნადირობდი. ელექტრომაგნიტმა იხვის მაგივრად ჰაერში გაქროლილი ყუმბარა მიიზიდა და ნამსხვრევებად იქცა...

ყველა გაჩუმდა.

თანდათან ქრებოდა კოცონი. ძაღლებს ეძინათ. თენდებოდა.

* * *

როდესაც ამ მოთხრობას წაიკითხავთ, უპასუხეთ შემდეგ კითხვებზე:

1. ვის გაგონებთ მოთხრობის გმირი? რა ჰქვიან მას?
2. შეუძლია თუ არა მაგნიტს ტყვიისა და საფანტის მიზიდვა?
3. რა არის დაუჯერებელი ამ ისტორიაში და რატომ?
4. რა იცით ელექტრომაგნიტების შესახებ?





## შ ი ნ ა ა რ ს ი


| | | გვ. |
|---|---|---|
| იოსებ ნონეშვილი — ლენინ-სტალინის დროშით (ლექსი) | გარეკ. | 2 |
| ა. კონონოვი — სახალხო სიყვარული (მოთხრობა თარგმნა კ. ლორთქიფანიძემ) | | 2 |
| ვახტანგ ბარათაშვილი — სტალინი (მეზღვაურის ჩანაწერი) | | 4 |
| შოთა როყვა — სტალინგრადი (ლექსი) | | 5 |
| თამაზ ჭილაძე — გაზაფხული (ლექსი) | | 5 |
| ს. მიხალკოვი — გატეხილი ვაზა (ლექსი) თარგმნა დ. გაჩეჩილაძემ | | 6 |
| მიხეილ მრევლიშვილი — ახალი მეგობარი (მოთხრობა) | | 8 |
| ვასილ ბაიაძე — მაქსიმ გორკი გორში (წერილი) | | 15 |
| ივანე ურჯუმელაშვილი — შეხვედრის შემდეგ (მოთხრობა) | | 16 |
| ა. დავითიანი — დიდი სომეხი პოეტი (წერილი) | | 22 |
| ლენგსტონ ჰიუზი — მამა და შვილი (მოთხრობა, თარგმანი ინგლისურიდან ვახტანგ ჭელიძისა) | | 23 |
| მზია ერისთავი — ტურისტული მოგზაურობის ორგანიზაცია (წერილი პიონერხელმძღვანელის დასახმარებლად) | | 27 |
| ვლადიმერ ჯიბუტი ალეკო შენგელიას „საბავშვო ლექსები“ (წერილი) | | 29 |
| ბაკური ბახტურიძე — ივ. ურჯუმელაშვილის „მორანბონი“ (წერილი) | | 29 |
| მოკლედ ყველაფერზე | | 30 |
| ტექნიკა | | 31 |
| ჭადრაკი | გარეკ. | 3 |
| კროსვორდი | გარეკ. | 3 |


გარეკანის პირველ გვერდზე „საჩუქარი მასწავლებლისათვის“ ნახატი ალ. ბანძელაძისა.

გარეკანის მეორე გვერდზე „გაზაფხული“ — ნახატი შ. ცხადაძისა.

გარეკანის მეოთხე გვერდზე „აპრილი“ — ნახატი ალ. ბანძელაძისა.

ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: კ. მახარაძის, ალ. ბანძელაძის, უჩა ჯაფარიძის, ა. სულავასა და დ. ხახუტაშვილის მიერ.


რედაქტორი რევაზ მარგიანი. სარედაქციო კოლეგია: რ. ელანიძე, გ. ვარდოსანიძე, რ. თაბუკაშვილი, ბ. შელია, ვ. ჭელიძე, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), ე. ქარელიშვილი, გ. შატბერაშვილი.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

„ПИОНЕРИ“ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии Апрель № 4, 1953, Тбилиси, Ленина 14. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 1 სართული. ტელ. 3—81—85. საბლიტგამი.

უე 00490 ტირაჟი 15.000 გამომც. შეკვ. № 111 სტამბის შეკვ. № 422. ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის 14, გარეკანი დაბეჭდილია „ზარია ვოსტოკას“ ოვსეტ-მანქანაზე, რუსთაველის 42.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჭადრაკი

## მზარდი მოჭადრაკე

ექვს წელზე მეტია, რაც ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა სასახლის საჭადრაკო კაბინეტში წევრად ირიცხება თამაზ კალატოზიშვილი.

კაბინეტის მასწავლებლების დახმარებით და თავისი გულმოდგინე მეცადინეობით თამაზი დაეწაფა ჭადრაკის თამაშის საიდუმლოებას. საჭადრაკო ხელოვნების ძირითადი იდეების შეცნობით თამაზი იწრთობოდა, როგორც მოჭადრაკე.

1950 წელს, მოსკოვში, მოსწავლეთა საკავშირო გუნდურ პირველობაში თამაზმა საუცხოო თამაშით პირველი საკავშირო თანრიგი მიიღო. ამ გამარჯვებამ დიდად წაახალისა იგი და უკვე 1952 წელს კალატოზიშვილი ხდება საქართველოს ჩემპიონი მოსწავლეთა შორის.

1953 წლის თბილისის უძლიერეს მოჭადრაკეთა პირველობაში მოსწავლე თ. კალატოზიშვილმა მეოთხე ადგილი დაიკავა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ შეჯიბრებაში ნიჭიერმა მოჭადრაკემ დაამარცხა ოსტატობის კანდიდატები ა. ბუსლაევი, ლ. გერშკოვიჩი და ბ. ვეიზერი.

იგი კომბინაციური თამაშის მოყვარულია.

კომკავშირელი თ. კალატოზიშვილი სწავლობს თბილისის ვაჟთა 1 სკოლის მე-11 კლასში და არის ოქროს მედალოსნობის კანდიდატი.

თბილისის 1953 წლის პირველობიდან მოგვყავს კალატოზიშვილის ერთ-ერთი პარტია: ასეთი მდგომარეობა შეიქმნა თეთრების 25-ე სვლის შემდეგ. შავებს გარკვეული პოზიციური უპირატესობა აქვთ, რაც გამოიხატება მათი ფიგურების საუცხოო განლაგებაში ახლა შავები ნახულობენ

თ. კალატოზიშვილი



ლ. ზაიჩიკი

მოპოვებული უპირატესობის რეალიზაციის სწორ გეგმას. ისინი თეთრების მეფის გარემომცველი პაიკების ჯაჭვის რღვევით აღწევენ გამარჯვებას. 25...c6! 26. მg1? b5!! 27. ab cb 28. მ : b5 a4! თეთრებს უკვე უიმედო მდგომარეობა აქვთ. 29. ლb1 ეb8 30. მe2 ab+ 31. მფ : b3 (თუ ლ : b3, მაშინ მ :c4) ეf7 32. ლa1 ლb6 33. ლa4? ეaf 34. ეa1 ე : a4 35. ე : a4 მ : c4 36. მფ : c4 ლ : b5×.

# კროსვორდი



### ვერტიკალურად

1. ქარის ინტენსიურობის ციფრობრივი გამოხატულება; 2. ერთხმიანი ვოკალური ნაწარმოები აკომპანიმენტით; 3. ლერმონტოვის ცნობილი ნაწარმოები; 4. მცენარე; 5. ხე; 6. დედამიწის ცენტრიდან უველაზე დაშორებული წერტილი მთვარის ორბიტისა; 8. სითხის მოცულობის საზომი ერთეული; 10. ქიმიური შენაერთი; 12. თვე; 15. კურორტი დასავლეთ საქართველოში; 16. დიაგრამა, რომელზედაც გამოსახულია სხვადასხვა პროცესის რაოდენობრივი დამოკიდებულება; 18. ქალაქი შავი ზღვის სანაპიროზე; 19. მინერალური სამკურნალო წყალი; 20. დიდი ქართველი პოეტი; 22. სამხედრო ნაწილების სამმართველო; 23. სსრ კავშირის მოკავშირე რესპუბლიკა; 24. ტოლგვერდებიანი პარალელოგრამი; 27. ამა თუ იმ დაწესებულების თანამშრომელთა მუდმივი შემადგენლობა; 29. სანავსადგური ქალაქი საფრანგეთში; 32. სპორტული ინვენტარი; 33. საწარმოთა გაერთიანება; 34. განთქმული უნგრელი მოცურავე ქალი; 38. სამუსიკო ინსტრუმენტი; 39. მუსიკალური ინსტრუმენტის ნაწილი; 42. რისიმე დედააზრი; 43. მოლეკულის ნაწილი.

### ჰორიზონტალურად

1. ტექნიკური კულტურა; 3. ქალაქი ინდოეთში; 5. ვერდის ოპერა; 7 გაზეთის სახელწოდება, რომელსაც ეპიგრაფად ჰქონდა—„ნაპერწკლიდან ალი აინთება“; 8. მხეცი; 9. XIX საუკუნის ფრანგი მწერალი 11. მეცნიერების ერთ-ერთი დარგი; 13. წონის საზომი ერთეული; 14. ქართული ნაციონალური სპორტის ერთ-ერთი სახე; 17. ლიტერატურის დარგი; 21. გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი; 22. გერმანელი პოეტი; 25. მატერიის უმცირესი ნაწილი; 26. საჯარო ადგილებზე გამოკრული განცხადება; 28. რკინიგზის სადგური საქართველოში; 30. დედამიწის ჩრდილო-პოლარული მხარე; 31. სახელმწიფო ევროპაში; 35. ძვირფასი ლითონი; 36. მტაცებელი ფრინველი; 37. ზ. ფალიაშვილის ცნობილი ოპერა; 40. უცნობი სიდიდე; 41. რაიონული ცენტრი დასავლეთ საქართველოში; 42. ხილი; 44. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; 45. ქიმიური ელემენტი; 46. გარეული ცხოველი.

შეადგინა ა. ნინიძე

ნ 25/25

ფასი 2 მან.



ეროვნული ბიბლიოთეკა